ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 1 ნოემბერი, 2013 №259 (6260) ფასი: 30 თეთრი

საფრანგეთის სასამართლომ დავით კეზერაშვილი წინასწარ პატიმრობაში დატოვა

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი საფრანგეთის სასამართლომ წინასწარ პატიმრობაში დატოვა. როგორც ,,მედიანიუსს" საფრანგეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ეკატერინე სირაძე-დელონემ განუცხადა, პროცესზე, რომელიც გუშინ გაიმართა, სასამართლო განიხილავდა კეზერაშვილის წინასწარ პატიმრობაში დატოვება-არდატოვების საკითხს.

მისი განმარტებით, სასამართლომ კეზერაშვილი წინასწარ პატიმრობაში 20 ნოემბრამდე დატოვა, ამ პერიოდში კი მისი საქართველოში ექსტრადირების საკითხი უნდა გადაწყდეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი საფრანგეთში 14 ოქტომბერს დააკავეს.

მედიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერად ინიშნება?

კახა კალაძე შს მინისტრის პოსტის დაკავებას არ გამორიცხავს

გვ.2

სასამართლომ ბაჩო ახალაია გაამართლა

გვ.5



გვ.6

სოფიო ხორგუანი: „სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა აკონტროლოს მთავრობა"

„ლეიბორისტული პარტია" შვეიცარიის საელჩოსგან ბოდიშს მოითხოვს

— გვ. 3 —

მარგველაშვილის ინაუგურაციას რუსი პოლიტიკოსები არ დაესწრებიან

გვ.5

ელენე თევდორაძე: „ჩვენი სიები პროკურატურაში იცხრილებოდა"

„შეწყალების კომისია 8 წლის განმავლობაში ძალიან არაკომფორტულ მდგომარეობაში იყო"

გვ.4

გუბერნატორები გადადგნენ

გვ.4

ISSN 1987-9385

2 ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო-ისრაელს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმება ისტორიულია"

7 მერიის უფლებები მცირდება

3 პრემიერ-მინისტრი ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს შეხვდა

8 პროკურატურა ბაჩო ახალაიას საქმეზე გამოტანილ განაჩენს გაასაჩივრებს

ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერად ინიშნება?

კახა კალაძე შს მინისტრის პოსტის დაკავებას არ გამორიცხავს

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყნის მთავარმა მეოცნებემ თუ არ გადაიფიქრა, ხვალ მომავალი პრემიერის ვინაობას გავიგებთ. თუ გაგვიმართლა ბიძინა ივანიშვილის შემცვლელის სახელი და გვარი შესაძლოა დღესაც კი გაგვაგებინონ. არადა, 25 ოქტომბერს დაგვპირდნენ, ივანიშვილის შემცვლელის ვინაობას 29 ან 30 ოქტომბერს შეგატყობინებთო. თან ეს ინფორმაცია ისე კი არ უთქვამთ, პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთეს განცხადება.

მერე ეს ნანატრი თარიღი შეცვალეს. და ახლა საოცნებო კანდიდატურის დასახელებას მორიგი პოლიტსაბჭოს სხდომაზე აპირებენ. რომელიც ბიძინა ივანიშვილის ხელთ არსებული ინფორმაციით 2 ნოემბერს გაიმართება.

მანამდე კი მთავრობის წევრები ხალხს ასოციაციობანას ეთამაშებიან. აკეთებენ სხვადასხვა მინიშნებებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ არც ისინი არიან საქმის კურსში. ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებების ანალიზი რთულია, თითქმის შეუძლებელია. ამის ნათელი მაგალითი საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევა იყო.

თავიდან ამ პოსტისთვის ირაკლი ალასანია გაიმეტეს. ამის თაობაზე საპარლამენტო არჩევნებამდე გაგვიკეთეს განცხადებები. ნაარჩევნებს ივანიშვილმა გვაუწყა, ეს პოსტი ყველაზე მეტად ვახტანგ ხმალაძეს მოუხდებაო. მერე კი კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დაგვისახელეს. რომელიც ერმა რამდენიმე დღის წინ აირჩია პრეზიდენტად.

ახლა ივანიშვილი თავის ზრახვებს აღარ გვიმხელს. მხოლოდ ის გვითხრა, ამ პოსტს ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აღარ დაიკავებსო. თავიდან სწორედ ის მოიაზრებოდა ივანიშვილის ადგილმოსაცვლედ.

პრემიერობაში ეჭვმიტანილები ამ ეტაპზე დავით სერგეენკო და ირაკლი ღარიბაშვილი არიან. აქა-იქ ირაკლი ალასანიას გვარმაც გაიჟღერა. ვიღაცები გია ხუხაშვილის შანსებზეც ალაპარაკდნენ.

გია ხუხაშვილი ივანიშვილის მრჩეველი გახლავთ და პრემიერის კარზე დიდი გავლენით სარგებლობს. ერთი პერიოდი საქართველოში ამინდის გაფუჭებასაც კი მის სახელს უკავშირებდნენ.

რაღაც პერიოდის მანძილზე ის ჩრდილში მოექცა. ერს კინაღამ დაავიწყდა მისი არსებობა. კიდევ კარგი ცეზარ ჩოჩელმა გაგვახსენა მისი თავი და მას ბიზნეს-მამაო შეარქვა.

ჭორები მისი შესაძლო გაპრემიერების 2 დღის წინ გავრცელდა. ამაში დამნაშავე თავად ხუხაშვილია. 30 ოქტომბერს მან პრესკონფერენცია ჩაატარა. გვითხრა, რამდენიმე დღის შემდეგ სკანდალურ განცხადებას გავაკეთებო. ერმა ეჭვი გამოთქვა, რომ ივანიშვილის მემკვიდრე ის იქნებოდა. სხვა თუ არაფერი, ის იმდენჯერ და ისე აქო პრემიერმა, უცნაური ისაა ეს ჭორი აქამდე რატომ არ გავრცელდა.

აქტიურად მოიაზრებოდა დავით სერგეენკოს კანდიდატურა. მასზე ბევრ კარგ რამეს ამბობენ. ამბობენ, რომ ბევრი კარგი რამე გააკეთა. გაზეთ „ალიას“ ცნობით, დავით სერგეენკოს პიარისთვის განკუთვნილი თანხა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის გადაურიცხია.

მის შესაძლო გაპრემიერებაზე დიდი ხანია საუბრობენ. ამის შესახებ ინფორმაციას სერგეენკო არც უარყოფდა და არც ადასტურებდა. 2 დღის წინ კი მან ეს ინფორმაცია უარყო.

მთავარ ეჭვმიტანილად შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დარჩა. რომლის სახელსაც პოლიციის დეპოლიტიზირება უკავშირდება. რაც დიდი მიღწევაა. ყველას მოგეხსენებათ, რომ პოლიციას ვანო მერაბიშვილი ძალიან უყვარდა. ყველას ეგონა, რომ მის შემდეგ ღარიბაშვილი პოლიციას თავს ვერ შეაყვარებდა. არ დაგვიწყდეს ისიც, რომ იქაურობა ვანოს ხალხით იყო სავსე. ღარიბაშვილმა ეს შეძლო.

ივანიშვილი ხშირად აღნიშნავს, რომ ის წარმატებული მინისტრია. მას აქვს ბევრი დადებითი თვისება. და რაც მთავარია ერთგულებით გამოირჩევა. სწორედ ამ თვისებების გამო დანიშნა ივანიშვილმა შს მინისტრად.

ამ თვისებებიდან გამომდინარე მას პრემიერობის ყველაზე მეტი შანსი აქვს. თუმცა შესაძლოა სწორედ ამ თვისებების გამო, ის ისევ მსტოვართუხუცესად დატოვონ. პოლიტიკაში ერთგული ადამიანები იშვიათად არიან. შს მინისტრად კი შემთხვევითი ადამიანის დანიშვნა არ სეიძლება.

გუშინ მთელი საქართველო უკვე მომავალ შს მინისტრზე გოდებდა. ამ ხმების გავრცელებას ხელი ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ შეუწყო. ის ღარიბაშვილის გაპრემიერების შემთხვევაში შს მინისტრის პოსტის დაკავებას არ გამორიცხავს.

კახი კალაძე პირობას დებს, რომ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, რომელსაც პრემიერი ბიძინა ივანიშვილი დაასახელებს, ღირსეული პიროვნება იქნება. ენერგეტიკის მინისტრის თქმით, მისთვის კანდიდატურის ვინაობა დაახლოებით ცნობილია.

– გაძლევთ პირობას, რომ ის იქნება ღირსეული კანდიდატი, ისეთი პიროვნება, როგორიც შეეფერება ჩვენს ხალხსა და ქვეყანას. ძალიან მაგარი ადამიანი იქნება, – განაცხადა კალაძემ ინგა გრიგოლიას გადაცემა „დიდ პოლიტიკაში“ სტუმრობისას.

დასვლის შესახებ მსჯელობა არ ყოფილა. კალაძემ არ ისურვა იმის დაკონკრეტება, იქნება არის თუ არა პრემიერობის ერთ-ერთი კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი და განიხილება თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრად ღარიბაშვილის წასვლის შემდეგ მისი კანდიდატურა.

– გამორიცხული არაფერია. კიდევ ერთხელ მინდა, აღვნიშნო, რომ მე დღეს ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობა მაქვს, მაგრამ მინდა, ასევე ვთქვა, რომ სადაც ჩემს ქვეყანას და გუნდს დასჭირდება, იქ ვიდგები ყოველთვის, – დასძინა კალაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ლოგიკურად აფასებს მოსაზრებას, რომ ღარიბაშვილის გაპრემიერების შემთხვევაში, მისი შემცვლელი კალაძე გახდეს. როგორც ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა განუცხადა, მისთვის მომავალი პრემიერის კანდიდატურასთან დაკავშირებით, ზუსტად ისაა ცნობილი, რა ვერსიებსაც ჟურნალისტები ავრცელებენ.

– მეც ზუსტად იმდენი ვიცი, რამდენიც თქვენ. კვირის ბოლოს პრემიერი ამ საკითხის განხილვას პოლიტსაბჭოს სხდომაზე აპირებს. მე პოლიტსაბჭოს წევრი არ ვარ, ამიტომ განხილვაზე არ ვიქნები, შესაბამისად, მომავალი პრემიერის ვინაობას გავიგებთ მაშინ, როცა მთავრობას კანდიდატურას წარუდგენენ“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. რაც შეეხება კითხვას, შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერების შემთხვევაში, ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე დაიკავებს თუ არა შს მინისტრის თანამდებობას, საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეს ერთ-ერთი ვერსიაა. „ეს ერთ-ერთი ვერსიაა, რომელიც რასაკვირველია, სადღაც ლოგიკურიც არის, რადგან ნათქვამია, რომ პრემიერი მინისტრთა კაბინეტიდან იქნება და სათითაოდ ყველაზე შეგვიძლია, ახლა ვივარაუდოთ, მხოლოდ კაცებზე მაქვს ამ შემთხვევაში საუბარი, რადგან ვიცით, რომ პრემიერი ქალი არ იქნება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ფანჯიკიძემ.

ივანიშვილს თავისი შემცვლელი უკვე შერჩეული ჰყავს. თუმცა რატომ მალავს მის ვინაობას ეს არის საკითხავი.

ნაციონალები ამბობენ, რომ ახალ პრემიერს მხარს არ დაუჭერენ. ამ შემთხვევაში მეოცნებეებს მათი დასტური არ სჭირდებათ. თუმცა შესაძლოა, ახალ პრემიერს არც მეოცნებეთა ნაწილმა დაუჭიროს მხარი. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული ვის დაასახელებს ივანიშვილი მემკვიდრედ.

ჩვენში დარჩეს და ჯანდაცვის და შს მინისტრების გაპრემიერება ცუდად არის დაცდილი. 2001 წლის დამლევს შევარდნაძემ თავის პრემიერად დანიშნა ჯანდაცვის მინისტრი ავთო ჯორბენაძე. რომელიც ბევრი დადებითი თვისების მატარებელია. აფხაზეთის ომის დროს ის ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა. ქართველი დაჭრილების გარდა აფხაზებსაც მკურნალობდა. ერთხელ, მასთან საავადმყოფოში ქართველები შევარდნენ და აფხაზი დაჭრილების გადაცემა მოსთხოვეს. ჯორბენაძემ ეს ცოცხალი თავით არ დაუშვა. რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. სხვა კარგი საქმეებიც აქვს გაკეთებული, მაგრამ 2003 წელს ის ვარდების რევოლუციის მხარეს გადაიხარა.

შს მინისტრის გაპრემიერება 2012 წელს მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს სააკაშვილმა ვანო მერაბიშვილი გაპრემიერა. მისი ამბავი ყველას გახსოვთ. და ამ თემაზე აღარ გესაუბრებით.

ღარიბაშვილი და სერგეენკო მერაბიშვილისა და ჯორბენაძისგან დიდად განსხვავდებიან. დღეს ქვეყანაშიც განსხვავებული ვითარებაა. ამის მიუხედავად ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შექმნილ ვითარებაში ყველაზე ყკეთესი ის იქნება, თუ ივანიშვილი დარჩება პრემიერად.

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო-ისრაელს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმება ისტორიულია“

საქართველო-ისრაელს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმება ისტორიული გადაწყვეტილებაა – განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზეევ ელკინთან შეხვედრის შემდეგ.

„შეხვედრისას მე აღვნიშნე, რომ ეს არის უდიდესი ნდობის გამოცხადება პირველ რიგში ჩვენი მთავრობის მიმართ, მთავრობის მეთაურის მიმართ, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ ისრაელის სახელმწიფოს მხრიდან. ეს არის უდიდესი ნდობის გამოცხადება ქართველი ხალხის მიმართ. ასე რომ, ეს არის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენი ურთიერთობების გარღმავების და გაძლიერების“ – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ზეევ ელკინის თქმით, ეს ბუნებრივი ნაბიჯია, რომელიც შეთავაზებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ისრაელში ვიზიტის დროს, შემდეგ კი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის დროს.

„ჩვენ მოვისმინეთ ეს მოწოდება, ვფიქრობთ ეს ძალიან პოზიტიური ინიციატივაა. საქართველოს და ისრაელს შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო წლების განმავლობაში. ჩვენ აღვიქვამთ საქართველოს როგორც ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს, ამიტომ, ჩვენთვის ბუნებრივი ნაბიჯი იყო ამ პროცესის დაწყება. მე ჩამოვიტანე ისრაელის მხარის შემოთავაზება ამ შეთანხმების ფორმის შესახებ. აღფრთოვანებული ვარ საქართველოს მხარის ბიუროკრატიის დაძლევის უნარით, ჩვენ ასე არ გამოგვდის. მე უკვე მივიღე საპასუხო რეაქცია შეხვედრის დროს და ვფიქრობ, რომ ძალიან მოკლე ვადებში შევძლებთ დავასრულოთ ყველა აუცილებელი ფორმალობა და შესაბამის შეთანხმებას ხელი მოვაწეროთ“ – განაცხადა მან.

ღარიბაშვილის და ელკინის შეხვედრას ისრაელის ოფიციალური დელეგაციის წევრებთან ერთად ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი ესწრებოდა. მისი განცხადებით, სავიზო რეჟიმის გაუქმება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების თვალსაზრისით.

„ირაკლი ღარიბაშვილისთვის არაერთხელ მითქვამს, რომ მისი შს მინისტრის პოსტზე დანიშვნის შემდგომ აქ ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში. ეს პირადი მოტივებით კი არა, არამედ ურთიერთთანამშრომლობითაა განპირობებული, რომელიც ჩვენ ორ ქვეყანას შორის არსებობს. ჩვენ ვთანამშრომლობთ სამართლებრივ სფეროში, მათ შორის ვთანამშრომლობთ კონტრტერირიზმის მიმართულებით. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი ქვეყნისთვის, არამედ სხვა სახელმწიფოებისთვისაც. ვერც ერთი ქვეყანა ვერ იმუშავებს ამ სფეროში მარტო. ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სტრატეგიული პარტნიორობას გულისხმობს“ – განაცხადა ელჩმა.

ღარიბაშვილი ზეევ ელკინს უკვე მეორედ შეხვდა. შეხვედრაზე მთავარი განსახილველი თემა საქართველოსა და ისრაელს შორის უვიზო რეჟიმი და მასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები იყო. მხარეებმა ასევე განიხილეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები. გარდა ამისა, საუბარი შეეხო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გატარებულ და დაგეგმილ რეფორმებს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ელენე აბაშიძე: „მთელ საქართველოს დაჭბორვა ემუქრება“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში დიდი ჰესების მშენებლობის გარშემო დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ამ მშენებლობას უამრავი ადამიანი ეწინააღმდეგება. მეცნიერები დებენ უარყოფით დასკვნებს, რასაც ჩვენი ხელისუფლება, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებს. არადა, ამ ჰესების აშენებამ საქართველო შესაძლოა კატასტროფამდე მიიყვანოს.

რა პრობლემებს შეუქმნის საქართველოს დიდი ჰესები და რატომ არის უმჯობესი მცირე ჰესების აშენება ამ და სხვა თემებზე „ახალ თაობას“ გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ელენე აბაშიძე ესაუბრება.

ელენე აბაშიძე:

– ბატონმა კახა კალაძემ ენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შემდეგ საინტერესო განცხადება გააკეთა. მან სიტყვით გამოსვლისას პრინციპულად განაცხადა, რომ საქართველოში აიგებოდა მხოლოდ მცირე ჰესები. მისი განცხადება მომეწონა. მაშინ გამიკვირდა კიდეც, ამ გამოუცდელმა კაცმა რა კარგად აუღო ალღო ამ რთულ თემას, მით უმეტეს, არ არის არც ჰიდრავლიკოსი, არც ჰიდროტექნიკოსი, არც გეოლოგი, არც ჰიდროლოგი, არც ჰიდროგეოლოგი და ა.შ. ასეთი სწორი დასკვნა როგორ გააკეთა-მეთქი. საკითხი ერთობ რთული აღსაქმელია სპეციალისტებისთვისაც კი და მით უფრო არასპეციალისტებისთვის. მაგრამ სამწუხაროა ის, რომ სწრაფად შეცვალა ეს აზრი. ახლა ის თანახმაა დიდი ჰესების აშენებაზე. სამწუხაროა, რომ ის ასე დაჟინებით უჭერს მხარს „ხუდონჰესის“ აშენებას.

– მას საამისოდ თავისი არგუმენტები აქვს. თქვენი აზრით, რატომ არ უნდა აშენდეს ეს ჰესი?

– ამ საკითხის ირგვლივ 30 წლის წინაც იყო მეტად მკაცრი პოლემიკა. შედეგად მიაღწიეს „ჰიდროჰესის“ მშენებლობაზე უარყოფით დასკვნას და ეს საკითხი დღის წესრიგიდან ამოიღეს. დღეისათვის კამათი „ხუდონჰესის“ მშენებლობაზე განახლდა. სექტემბრის თვეში ამ საკითხის განხილვა „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა. შედგა სახალხო თათბირი. როგორც გაირკვა, აქ ის ხალხი იყო მოწვეული, ვინც მხარს უჭერდა „ხუდონჰესის“ მშენებლობას. ამ თათბირზე ინკოგნიტოდ დამჭირდა მისვლა. მიუხედავად იმისა, რომ წლის დასაწყისში განცხადებით მივმართე ენერგეტიკის მინისტრს. ვთხოვე, თუ საერთოდ ჰესებზე და უშუალოდ კი „ხუდონჰესზე“ იქნებოდა საუბარი, ჩემთვისაც ეცნობებინათ. როგორც რიგითი მოქალაქისათვის და იმ უპირატესობით, რომ მეც ვარ ამ საქმის სპეციალისტი. ვარ გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ჰიდროგეოლოგი, მიმუშავნია თბილისის წყალსაცავზე. პირველი დისერტაცია „შაორჰესზე“ დავიცავი. და საერთოდ, მსოფლიოში პირველად გამოვიკვლიე წყალსაცავების ფუნდამენტში გავრცელებული კარბონატული ქანების ბეწვისოდენა ნაპრალების გაგანიერება, როგორც ხდება დროთა განმავლობაში. ვმუშაობდი წყალსაცავებიდან ფილტრაციის საკითხებზე. მივუთითე ჩემს რეგალიებზე, რომ ამერიკის საერთაშორისო ექსპერიმენტული კვლევები ჩავატარე, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში. მაგრამ მინისტრმა იგნორირება გაუკეთა ჩემს განცხადებას.

– რა მიზეზით გაგიკეთათ იგნორირება?

– მას ჩემნაირად მოაზროვნე ხალხი, როგორც ჩანს, არ აწყობდა და ამიტომაც არ მიმიწვია ამ თათბირზე. „ხუდონჰესის“ გარშემო მიმდინარე თათბირმა ჩაიარა დიდ ხმაურში. უმრავლესობა მისი მოწინააღმდეგე იყო. თათბირზე მოხდა ამ თემაზე ჩატარებული მეცნიერული კვლევების განხილვა. ეს კვლევები სხვადასხვა დარგებში ამომწურავად და კეთილსინდისიერად იყო ჩატარებული. დაწვრილებით იყო შესწავლილი ადგილის გეოლოგია, გეომორფოლოგია, ჰიდროგეოლოგია, სეისმოლოგია და ა.შ. საბოლოო ჯამში გამოტანილი იყო უარყოფითი დასკვნა. ყველაფერ ამას დაძაბული, ყურადღებით ვუსმენდი. სრული პასუხიმსგებლობით ვადასტურებ, რომ ეს კვლევა მეცნიერულად მაღალ დონეზე იყო ჩატარებული. მიუხედავად უარყოფითი დასკვნებისა, სამინისტრო და უშუალოდ მინისტრი ცდილობენ, თავიანთი კაპრიზი გაიტანონ და ააგონ „ხუდონჰესი“, რომლის აშენებასაც ხალხის დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება. მე დაკვირვებით ვუსმენდი ანგარიშს. მიკვირს, რატომ გადადეს გვერდზე და რატომ არ იღებს ყურად ამ დასკვნას ენერგეტიკის სამინისტრო. მაშინ ეს ანგარიში რატომ შედგა/ რატომ დაიხარჯა ამაზე უამრავი თანხა და რატომ გადადო გვერდზე სამინისტრომ? სამინისტროს აზრი მშენებლობის დაწყების შესახებ რატომ არის ურყევი, რომ აიგოს ჰესები ამ უარყოფითი დასკვნების მიუხედავად. თათბირის მიმდინარეობის დროს ძლივს მივაღწიე იმას, რომ დამეყენებინა საკითხი. დიდი ჰესების ალტერნატივაზე.

– რა არის ეს ალტერნატივა?

– მცირე ჰესები. საკითხი დავაყენე, მიუხედავად ამისა, თათბირზე ამ თემაზე მსჯელობა სპეციალისტებმა არ ისურვეს. ყველაფერი ეს ჩემი და ჩემი კოლეგების გაოცებას იწვევს. საკვირველია სწორედ ის, რომ მეცნიერული დასკვნები არ აინტერესებთ და „ხუდონჰესის“ აგებას მაინც აპირებენ. როგორც ჩანს, ამის მიზეზი მხოლოდ ერთია. ზოგიერთს უნდა მოითბოს ხელი ქვეყნის დაქცევით. ოღონდ მათი კეთილდღეობა არ შეირყეს და ყველაფერზე წავლენ. ამ საკითხზე ჩატარებული მეცნიერული კვლევები იძლევა იმის პირობას, რომ დიდი ჰესების მშენებლობაზე უარი ვთქვათ. ეს ხალხი არ დაგიდევს ჩვენი მთაგორიანი რეგიონების სპეციფიკას, რომელიც მცირე წვიმების დროსაც კი იმეწყრება ინტენსიურად. და ისედაც მცირე სავარგულები, რომელიც საქართველოს ზედაპირის მხოლოდ 30 % შეადგენს, სოფლის მურნეობისთვის გამოუსადეგარი ხდება. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე ხომ უფრო შემცირდა სოფლის მეურნეობისთვის სასარგებლო ფართობი. ამას ემატება მოსახლეობის გადასახლების შემდეგ შექმნილი წარმოუდგენელი სიმწვავე.

– ამბობენ, რომ ამ ჰესის აშენებით სვანეთში მხოლოდ 7 სოფელი დაიტბორება.

– რატომ მარტო 7 სოფელი? ან ეს ცოტაა? დატბორვის საფრთხე ემუქრება მიმდებარე ფართობებსაც. კარგად მახსოვს შაორის წყალსაცავის ისტორია. მოხდა ამ საკითხის შესწავლა. ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა დადეს დასკვნა, რომ მხოლოდ შემოსაზღვრული ფართობი დაიტბორებოდა. მაგრამ 2-ჯერ და მეტჯერ მეტი ფართობი დაიტბორა. რას დაემსგავსა ეს უნიკალური, ულამაზესი ბუნება. სადღა არის ხარისთვალას კალმახი. ნაქერალადან გადმოსასვლელი ულამაზესი შაორის ხეობა, მისი სანაპირო ტყეები და საძოვრები. სადღა არის ნაქერალას ქედზე გადასასვლელზე ვენის ტყის მსგავსი ზღაპრული ადგილები. დატბორვის შემდეგ იქაურობა საშინლად დამახინჯდა. ჯერ უნდა აეღოთ ჰუმუსის შემცველი ფენა და უნდა დაესაწყობებინათ. ხეები უნდა გადაეენერგათ. მაგრამ ვინ დაგიდევდათ. ხეები შავი, დანახშირებული ზოდებივით არის ამოჩრილი წყლის ზედაპირიდან. შაორის მდინარე გადაიქცა ტბად. მისი სანაპირო და საძოვრები დატბორა. რა ეფექტიც აქვს ამ წყალსაცავს, კარგად მოგეხსენებათ.

– რა ბედი ელის სვანეთს?

– ასე გავერანდება სვანეთის არა მარტო 7 სოფელი, არამედ ბევრად მეტი ტერირტორია დაიფარება წყლით დროთა განმავლობაში. მათ შორის მიმდებარე სოფლებიც. ყველაზე სამწუხარო ხალხის გადასახლების ფაქტია. მათი სოფლების, საფლავების და სალოცავების შებღალვა. არ შეიძლება ხელისუფლებამ ასეთი ტკივილი მიაყენოს ისედაც გაუსაძლის პირობებში მცხოვრებ ქართველ ხალხს. შეიძლება ხალხს წაართვა მარჩენალი მიწა. მაგრამ ვერანაირი კომპენსაცია ვერ გამოასწორებს იმ მორალურ და ეკონომიკურ დანაკლისს. განა შეიძლება იმ ადგილის ფულადი შევსება სადაც გაზრდილხარ და დაბადებულხარ. ამაზე ხმამაღლა ლაპარაკიც კი შეურაცხმყოფელია. სულ ვფიქრობ, რა მოჰყვება მოსახლეობის აყრას და სხვაგან გადასახლებას. ამან შესაძლოა სვანეთის მოსახლეობა სახელმწიფოს წინააღმდეგ განაწყოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სვანების თავისი მინწის სიყვარულით განსაკუთრებით გამოირჩევიან. ეს ყველაფერი სულაც არ ენაღვლება გადამთიელს, რომელიც აქ მხოლოდ ფულის საშოვნელად არის მოსული. ამას კი ხელს ჩვენი მოქალაქეები უწყობენ, ეს დაუშვებელია. სად არის, ხალხო, თქვენი პატრიოტიზმი, ელემენტარული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა? შეიძლება ფულს შესწირო სამშობლო.

– მცირე ჰესების უპირატესობაზე რას გვეტყვით?

– ახლავე მოგახსენებთ, რა უპირატესობა აქვთ მცირე ჰესებს: მთავარი ის გახლავთ, რომ მცირე ჰესები არ მოითხოვს ხალხის აყრას და გადასახლებას მათი მშობლიური ადგილებიდან. ამით, მგონი, ყველაფერია ნათქვამი. ამიტომაც მან უნდა გადაწონოს „ხუდონჰესის“ აშენების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთსა და იმავე მდინარეზე შეიძლება აიგოს რამდენიმე მცირე ჰესი. ამით ხელუხლებელი დარჩება სავარგულები. არ დაიტბორება ნათესები. შევინარჩუნებთ სასოფლო-სამეურნეო ფართობებს. ხელშეუხებელი რჩება ეკოლოგია. მცირე ჰესები არ საჭიროებს წყალსაცავს. რის მშენებლობასაც დიდი თანხები სჭირდება. ამ მხრივაც იქნება დანაზოგი. განა შეიძლება იმ ხარჯების შედარება, რაც მცირე ჰესების აშენებას სჭირდება, ვიდრე სოფლის აყრას და გადასახლების საქმეს. მცირე ჰესებმა შესაძლოა მოითხოვოს მდინარის ნაპირების გამაგრება, რადგან დროდადრო მდინარის კალაპოტის შეცვლასთან გვექნება საქმე. ამიტომაც მის გამაგრებაზე დაიხარჯება თანხა. ამ სამუშაოების ჩატარება მოგვიხდება მხოლოდ ერთხელ, დასაწყისში. მდინარის კალაპოტის ორთავე მხარეს. ეს იმუშავებს ხანგრძლივად. მაგალითად, მდინარე მტკვრის კალაპოტის ცვალებადობა შემიძლია მოვიყვანო. 92 წლის ვარ და რაც თავი მახსოვს, ეს კალაპოტი არ შეცვლილა. საინტერესოა, გამოვითვალოთ, რა ხარჯებს მოითხოვს რომელიმე მდინარის კალაპოტის ცვალებადობა და რა თანხას მოითხოვს მცირე ჰესების მშენებლობა. რა დიდი ხარჯებიც არ უნდა მოითხოვოს მცირე ჰესების აგებამ, ის მაინც მცირე დანახარჯია, რაც დიდი ჰესების მშენებლობას სჭირდება. პირველი და გადამწყვეტი უპირატესობა მცირე ჰესებისა ის არის, რომ მოსახლეობას მშობლიურ ადგილზე ტოვებს და არავითარი გადასახლება არ მოხდება. მცირე ჰესები ეკოლოგიურადაც სარფიანია. ჩვენ ვწერთ ამ წერილში „ხუდონჰესის“ შესახებ, მაგრამ ვგულისხმობთ მთელ საქართველოს. ქვეყანაში დაგეგმილია 14 დიდი ჰესის აშენება. 14 დიდი ჰესის აშენების იდეა პირველად მიხეილ სააკაშვილის ავადმყოფურ გონებაში დაიბადა. სამწუხაროა, რომ ახალი მთავრობაც ეთანხმება მის კაპრიზს. 14 დიდი ჰესი საქართველოს დატბორვას გამოიწვევს. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდება ხდის ხეობა. ახალქალაქის რაიონში ფარავნის ტბაზეც იგეგმება დიდი ჰესის მშენებლობა. შესაბამისად იგეგმება დიდი ტერიტორიის გამოყენება. რა გამორჩენა რჩება საქართველოს. მთელი მისი ტერორტორიების ჰესებად გადაქცევად. რაღაც მიზერული. განა ღირს მცირე შემოსავლისთვის ქვეყნის გამეტება? ქვეყანამ გაცილებით მეტი შემოსავალი შეიძლება მიიღოს მტკნარი წყლებიდან.

– რას გულისხმობთ?

– საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ განყოფილებაში დევს მრავალი სპეციალისტის მიერ შესწავლილი საკითხი. მოგეხსენებათ, რომ საქართველო მდიდარია მტკნარი სასმელი წყლით. აქედან მხოლოდ მიზერულ ნაწილს თუ გამოვიყენებთ, საქართველოს მსოფლიოს ყოველი მოქალაქის დღეში 2 ლიტრა წყლით მომარაგება შეუძლია. თუ ამ წყალს გავყიდით საქართველოს შემოსავალი, აქედან წელიწადში 18 მილიარდი დოლარი იქნება. ძალიან ძნელია მსოფლიო ბაზრის გარღვევა და მისი დაპყრობა. ამ სირთულეებს ყველა თავს არიდებს. სამაგიეროდ ეადვილებათ დიდი ჰესების მშენებლობა, რითიც ადამიანებს საუკუნოვან საცხოვრისს უშლიან.

პრემიერ-მინისტრი ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს პატრიკ ჰიკს უმასპინძლა. მხარეებმა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის საორგანიზაციო საკითხები განიხილეს, რომელიც 2015 წელს თბილისში უნდა გაიმართოს. საუბარი შეეხო ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარების პერსპექტივებს. როგორც შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, საქართველო სპორტული ქვეყანაა, რასაც 35 ოლიმპიური ჩემპიონის არსებობა მოწმობს. მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მიეცემა საშუალება, უმასპინძლოს არაერთ ევროპულ თუ მსოფლიო სპორტულ ღონისძიებას.

„კარგია, რომ ამ მხრივ იდგმება კონკრეტული ნაბიჯები. 2013 წელს თბილისში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში, ხოლო 2015 წელს ტარდება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი და ასევე ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში“– განაცხადა პრემიერმა.

შეხვედრას ევროპის ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი გვიდო დე ბონდი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანიც დაესწრნენ.

მედიანიუსი

შსს: „პრეზიდენტის გადაწყვეტილება ყოვლად უპასუხისმგებლო და უკიდურესად შემაშფოთებელია“

პრეზიდენტის ბოლო შეწყალების აქტს შინაგან საქმეთა სამინისტრო უკიდურესად შემაშფოთებლად მიიჩნევს. როგორც სამინისტრო აცხადებს, მიხეილ სააკაშვილის მიერ შეწყალებულ პირთა უმეტესობა სასჯელს მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა. უფრო კონკრეტულად, შეწყალებულთა შორის არიან – განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის მსჯავრდებული 15 პირი, განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდებული 4 პირი (აქედან 12 პირი სრულად გათავისუფლდა სასჯელისაგან – ყველა მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის), ყაჩაღობისთვის მსჯავრდებული 32 პირი (უმრავლესობა მსჯავრდებულია დანაშაულთა ერთობლიობისათვის. მათგან 13 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას მიეკუთვნება), ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებული 70 პირი (მათგან უმრავლესობა რეალიზატორია, ანუ ის პირები, რომელთაც არ შეეხოთ წინა ამნისტია რეალიზატორობის გამო. 70-ვე მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის), ქურდობისთვის მსჯავრდებული 27 პირი (მათგან ნაწილი მსჯავრდებულია დანაშაულთა ერთობლიობისათვის), ძარცვისთვის მსჯავრდებული 6 პირი, მითვისება/გამოძალვისთვის მსჯავრდებული 30 პირი (მათგან ნაწილი მსჯავრდებულია დანაშაულთა ერთობლიობისათვის), სამოხელეო დანაშაულისთვის მსჯავრდებული 6 პირი (მათგან 3 ქრთამისთვის მსჯავრდებული), ასევე, შეწყალებულია გაუფრთხილებელი დანაშაულისთვის მსჯავრდებული 9 პირი და სხვა დანაშაულებისთვის მსჯავრდებული 15 პირი (თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება, პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ხულიგნობა, კონტრაბანდა, გადასახადისათვის თავის არიდება, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა და სხვა).

სამინისტროს ინფორმაციით, ამასთან, შეწყალებულთა შორის 53-ს სასჯელი გაუნახევრდა, ხოლო 4-ს შეუმცირდა. 122 პირი გასამართლებულია 2012 წლის 2 ოქტომბრამდე.

„შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის კატეგორიულად მიუღებელია შეწყალების ეს ფაქტი. პრეზიდენტის გადაწყვეტილება არის ყოვლად უპასუხისმგებლო და უკიდურესად შემაშფოთებელი, ვინაიდან შეწყალებულთა უმეტესობა სასჯელს მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა. აქვე გვსურს შევახსენოთ საზოგადოებას, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში პრეზიდენტმა 2204 პირი შეიწყალა, რომელთა შორისაც მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული პირები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში განმეორებითი დანაშაულისთვის სამართალდამცველებმა 240 პირი დააკავეს“ – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

მიხეილ სააკაშვილმა შეწყალების აქტს ხელი 29 ოქტომბერს მოაწერა. როგორც გაირკვა შეწყალებულთა შორის არიან იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის ძმა დავით ადეიშვილი, ასევე, იუსტიციის ექს-მინისტრის ყოფილი მოადგილის თინა ბურჯალიანის მეუღლე ნიკოლოზ ძიმეიშვილი, რომელიც თავდაცვის მინისტრობის პერიოდში ბაჩო ახალაიას მოადგილე იყო. ორივე მათგანი ძებნაში იმყოფებოდნენ. ამასთან, მიხეილ სააკაშვილმა შეიწყალა პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი ლიპარტელიანი, რომელიც ბუტა რობაქიძის საქმეზე ცრუ ჩვენების მიცემისთვის იყო დაკავებული.

მედიანიუსი

„ლეიბორისტული პარტია“ შვეიცარიის საელჩოსგან ბოდიშს მოითხოვს

„ლეიბორისტული პარტია“ შვეიცარიის საელჩოსგან სასწრაფოდ ბოდიშის მოხდას ითხოვს. როგორც პარტიის განცხადებაშია აღნიშნული, პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი არასოდეს შეხვედრია შვეიცარიის ელჩს.

„განცვიფრებულნი ვართ შვეიცარიის საელჩოს განცხადებით. შალვა ნათელაშვილი არასოდეს შეხვედრია შვეიცარიის ელჩს არც ჰქონია ამის სურვილი. „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი 30 ოქტომბერს შეხვდა შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში დიანა იანსეს. თუ ვინმე ვერ არჩევს შვეიცარიასა და შვედეთს ერთმანეთისგან, ყველას ვთხოვთ, ამაზე პასუხისმგებლობას ჩვენ ნუ დაგვაკისრებენ. მოვითხოვთ შვეიცარიის საელჩოსგან სასწრაფოდ ბოდიშის მოხდას პროვოკაციული განცხადების გამო, რომელიც გამოაქვეყნეს პრესაში „ – აღნიშნულია პარტიის განცხადებაში.

პარტიამ აღნიშნული განცხადებით შვეიცარიის საელჩოს უპასუხა, რომელმაც თავის მხრივ, შალვა ნათელაშვილი ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა შვეიცარიის ელჩთან მისი შეხვედრის შესახებ.

ნიუსპრესი

ელენე თევდორაძე: „ჩვენი სიები პროკურატურაში იცხრილებოდა“

„შეწყალების კომისია 8 წლის განმავლობაში ძალიან არაკომფორტულ მდგომარეობაში იყო“

შორენა გონგლაძე

შეწყალების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს ანდრო ბარნოვს მოუწოდებს, სიმართლე ილაპარაკოს. მან ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. საქმე ეხება რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ შეწყალებულთა სიას, სადაც მოხვდნენ მძიმე დანაშაულში მხილებული და წინა ხელისუფლების დროს თანამდებობებზე მყოფი პირები, რომლებიც დღემდე ძებნაში იმყოფებიან. თევდორაძის ინფორმაციით, ორი დღის წინ ანდრო ბარნოვმა აღნიშნა, რომ არ იცის, თუ ვის სიაში იყვნენ შეწყალებული პატიმრები. ელენე თევდორაძის განცხადებით, ჯობია, ბარნოვმა სიმართლე ილაპარაკოს, რადგანაც ზუსტად ბარნოვს ავალებდა პრეზიდენტი ძალიან ბევრ რამეს. თევდორაძის თქმით, სააკაშვილი სწორედ ბარნოვს ავალებდა სარეკომენდაციო სიებზე მუშაობას და მან მშვენივრად იცის სიმართლე.

– მე, შესაძლოა, როგორც ასლან აბაშიძე ამბობდა მიამიტი ქალბატონი ვარ, მაგრამ არ შემიძლია, ვთქვა ტყუილი. მე მინდა, მივმართო ბატონ ანდროს: ინტელიგენტი კაცია, პატივს ვცემდი, მაგრამ სჯობს, სიმართლე ილაპარაკოს, ახლა რომ ამთავრებს თავის საქმიანობას. პრეზიდენტი ზუსტად ბარნოვს, როგორც აპარატის უფროსს, აბარებდა, მოემზადებინა დამატებითი საქმეები, რაც კომისიაში არ შედიოდა. მან ეს ძალიან კარგად იცის. სანამ სიას პრეზიდენტთან აიტანდა, თავად გაიარა ჩვენი სარეკომენდაციო სია და ძალიან კარგად იცის, ვინ იყო ამ სიაში და ვინ – არა, – განაცხადა ელენე თევდორაძემ. მისი თქმით, თავად იმ ოქმს მოაწერს ხელს, სადაც მისი რეკომენდაციით შეწყალებული პირები არიან შეყვანილი.

შეწყალების კომისიის ხელმძღვანელის განცხადებით, კომისიას მაიზერ ლიპარტელიანისა და სხვა პირების შესახებ შეწყალების კომისიის ფარგლებში რეკომენდაცია არ გაუცია, მისი თქმით, იმ სიებში, რომლებიც კომისიამ განიხილა, არც ადეიშვილისა და არც ლიპარტელიანის გვარები არ არის.

– პირდაპირ ვამბობ, რომ შეწყალების კომისიას არც ლიპარტელიანისა და არც სხვა პირების შეწყალების საკითხი არ განუხილავს, რადგანაც სიებში, რომლებიც ჩვენ გადმოგვეცა, ამ ადამიანების სახელები და გვარები მითითებული არ რის. მე თან მაქვს ეს სიები და შეგიძლიათ, ნახოთ. 1995 წლიდან დღემდე შეწყალების კომისიაში ვარ და ჩემს პრაქტიკაში პირველი შემთხვევაა, როდესაც პირი, რომელიც პატიმარი და გაქცეულია, პრეზიდენტმა შეიწყალა, – აცხადებს თევდორაძე და აღნიშნავს, რომ კომისიამ რეკომენდაცია 120 ადამიანზე გასცა.

ელენე თევდორაძის ინფორმაციითვე, შეწყალების კომისია 8 წლის განმავლობაში ძალიან არაკომფორტულ მდგომარეობაში იყო. ვითარება მხოლოდ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეიცვალა.

– ჩვენ ვმუშაობდით, საათობით ვკამათობდით, მერე ჩვენი სიები თურმე პროკურატურაში მიდიოდა. პირები, რომლებსაც დარჩენილი ჰქონდათ სასჯელი 6 თვე, ერთი წელი, წელიწად-ნახევარი, ციხეში რჩებოდნენ და ვიღაცები, ვისაც 17, 20 წელი ჰქონდათ დარჩენილი, გარეთ ხვდებოდნენ. ამას ტელევიზიით ვიგებდი. ე.ი. პროკურატურა ჩვენს სიებს ცხრილავდა. საპატრიარქოსაც ჰქონდა სიები. საპატრიარქოდან 1 200 საქმეს გააგზავნიდნენ, იმ სიიდან 2 ადამიანს ამოიღებდნენ, დანარჩენს -– არა. ჩვენი სია იცხრილებოდა. ის, რასაც პროკურატურა ამზადებდა, პრეზიდენტთან ხელმოსაწერად შედიოდა. ნამდვილად არ ვიცი, იცოდა თუ არა პრეზიდენტმა, ეს ვისი სია იყო, – განაცხადა ელენე თევდორაძემ.

ბიძინა ივანიშვილი: „გვჯერა, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონალურ ამბასადორიალზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივებზე ისაუბრა.

მან ვილნიუსის მოახლოებულ სამიტზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ საქართველოს მოლოდინია ვილნიუსის სამიტზე ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პარაფირება, რომლის შემადგენელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე. ამასთანავე, მისი თქმით, ქართული მხარე მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევას ელოდება სავიზო ლიბერალიზაციის კუთხითაც.

„ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს. ჩვენი ქვეყნის ეს პრიორიტეტი ემყარება ქართველი ხალხის მტკიცე არჩევანს და ამ არჩევანს მხარს უჭერს საქართველოს ყველა ძირითადი პოლიტიკური ძალა“ – განაცხადა პრემიერმა.

მისი განმარტებით, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია აგრეთვე საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია.

„ჩვენ გვჯერა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ქვეყანას თავისი წვლილი შეაქვს საერთო ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში და ეს საპატიო მისიაა ჩვენთვის. როგორც უსაფრთხოების კონტრიბუტორი სახელმწიფო, საქართველო ჩართულია ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების მისიაში და აპირებს მონაწილეობას მისიის დასრულებამდე“ – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ამასთან, მისი თქმით, საქართველო პოსტ-აისაფის მისიაშიც მიიღებს მონაწილეობას.

მან რუსეთთან ურთიერთობაზეც გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ დემოკრატიული განვითარების გზაზე მიღწეული წარმატებების მიუხედავად, საქართველოს წინაშე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას – ოკუპირებულია ქვეყნის ტერიტორიები, ხოლო მოსახლეობას საკუთარ სახლებში უსაფრთხო დაბრუნების საშუალება არ ეძლევა.

პრემიერის განცხადებით, საქართველოს მიერ გადადგმული კონსტრუქციული ნაბიჯებისა და სავაჭრო და ჰუმანიტარული თანამშრომლობის მიმართულებით არსებული გარკვეული დინამიკის მიუხედავად, რუსეთის ჯარების მიერ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ხელოვნური ბარიერებისა და მავთულხლართების აგების პროცესი შემაშფოთებელია.

მედიანიუსი

თეა წულუკიანი ბრიტანელ კოლეგას შეხვდა

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანს იუსტიციის საკითხებში კრის გრეილინგს შეხვდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტრმა ბრიტანელ კოლეგას საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის პერიოდში არჩევნების გზით პრეზიდენტი პირველად შეცვალა.

„ჩემს მთავრობას დიდი გეგმები აქვს, თუ რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველოში დემოკრატია ინსტიტუტების დონეზე გამყარდეს და ევროპასთან რაც შეიძლება მოკლე დროში ინტეგრაცია შევძლოთ“ - განაცხადა თეა წულუკიანმა.

მინისტრმა დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანს საქართველოში იუსტიციის სამინისტროს ფუნქციებისა და იმ რეფორმების შესახებაც უამბო, რომელთაც იუსტიციის სამინისტრო უდგას სათავეში. თეა წულუკიანმა სასამართლო რეფორმის ძირითადი ასპექტები, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიმოიხილა.

„ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანი იუსტიციის საკითხებში დამპირდა, რომ ბრიტანეთი როგორც სასამართლო რეფორმის განხორციელებისას მოსამართლეთა შეფასების ინდიკატორების შექმნაში, ისე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის მოსამართლეების მომზადებასა და იმ გამოცდილების გაზიარებაში დაგვეხმარება, რომელიც რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კუთხით ბრიტანეთს აქვს“ - განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა.

კრის გრეილინგის თქმით, ის საქართველოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხში მაქსიმალურ დახმარებას გაუწევს. მისივე ინიციატივით, ამავე ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ბრიტანელ მოსამართლეებს შეხვდება.

მედიანიუსი

კავკასიაში წამების საწინააღმდეგო ქსელი იქმნება

შორენა გონგლაძე

გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიის“ პროექტის – „კავკასიის წამების საწინააღმდეგო რეგიონული ქსელის“ პრეზენტაცია გაიმართა, სადაც სახელმწიფომ, საერთაშორისო და დონორმა ორგანიზაციებმა წამებასთან ბრძოლის საქმეში ერთიან ხედვა წარმოადგინეს. „კავკასიის წამების საწინააღმდეგო რეგიონული ქსელის“ პრეზენტაციას

ადგილობრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. პრეზენტაციას სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი თამარ ჩუგოშვილი და სხვები ესწრებოდნენ.

აღნიშნული პროექტის ძირითად მიზანია კავკასიის რეგიონული წამების საწინააღმდეგო მყარი ქსელის შექმნა, რომელიც ფოკუსირებული იქნება: დაუსჯელობასთან ბრძოლაზე, ფართო მულტიდისციპლინური რეაბილიტაციის სერვისებზე, წამების პრევენციაზე, ადვოკატირებასა და კომუნიკაციურ სტრატეგიებს შორის კავშირების გაძლიერება-განვითარებაზე. კავკასიის რეგიონში პროექტის ადგილობრივი პარტნიორები არიან: აზერბაიჯანის ექიმთა ასოციაცია; ორგანიზაცია კანონის დარღვევის წინააღმდეგ, რეგიონული ადამიანის უფლებათა საზოგადოებრივი ორგანიზაცია – გროზნო, ჩეჩნეთის რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია), ქალთა ასოციაციის კრიზისული ცენტრი (საქართველო/აფხაზეთი); პროექტის პრეზენტაციის პარალელურად მოეწყო ეთნოწმენდის მსხვერპლთა და ყოფილ პატიმართა არტ-ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

სოზარ სუბარი:

– ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი იწყება, მნიშვნელოვანი იმ გაგებით, რომ ეს არის წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციისკენ მიმართული ღონისძიებები. ეს ის სფეროა, სადაც სახელმწიფო სამოქალაქო ჩართულობის გარეშე უძლურია და ვერაფერს გააკეთებს და, რაც მთავარია, ამ პროექტს ახორციელებს ისეთი გამოცდილი ორგანიზაცია, როგორიცაა ცენტრი „ემპათია“, რომელსაც წამების წინააღმდეგ ბრძოლის ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. მე ვიცი მათი გამოცდილება და ვიცი, როგორ წაადგება ეს ყველაფერი უამრავ ადამიანს, წაადგება ციხეების გამჭვირვალობას.

მარიამ ჯიშკარიანი:

– დღეს არის პროექტის პრეზენტაცია. ეს პროექტი არის წამების საწინააღმდეგო ქსელი, რაც გულისხმობს ძირითადად მულტიპროფილურ რეაბილიტაციას წამების მსხვერპლთათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბრძოლას დაუსჯელობასთან.

გუბერნატორები გადადგნენ

შორენა გონგლაძე

ჯახეთის გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი გუბერნატორების გადადგომასთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს უცნაურად მიიჩნევს. ამის შესახებ განცხადება ჭიაბერაშვილმა „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააჟღერა.

– მაშინ, როდესაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა უნდა ხდებოდეს, ვინ იქნება ახალი პრემიერი და რას იზამს პრეზიდენტი იგივე ეკონომიკურ მიმართულებებთან დაკავშირებით. როგორ აპირებს ხელისუფლება ამ პრობლემების მოგვარებას, უცნაურად იწყება აჟიოტაჟი იმ საკითხზე, თუ ამ ორი კვირის მანძილზე კონკრეტულად რომელ დღეს დაწერენ გუბერნატორები გადადგომის შესახებ განცხადებას. პროცედურა ითვალისწინებს იმას, რომ მთავრობის ხელში გადადის გუბერნატორების თემა. როდესაც ტარდება არჩევნები და მოდის ახალი მთავრობა, ეს ნორმალური პროცესია და უცნაურად მეჩვენება ამაზე ზედმეტი ყურადღების გადატანა, – აცხადებს ჭიაბერაშვილი.

უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, შემაშფოთებელია, როდესაც საქართველოს მისამართით ბრიუსელიდან იწევს საქართველოს კრიტიკის ტონი.

ჭიაბერაშვილი იმედოვნებს, რომ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებები ვილნიუსის სამიტზე და პარაფირების შეთანხმების ხელმოწერაზე გავლენას არ მოახდენს.

– ჩვენ ნამდვილად გვაშფოთებს, როდესაც ბრიუსელიდან იწევს კრიტიკის ტონი იმ პოლიტიკურ დევნაზე, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ განიცდის. გვაშფოთებს ის, რომ იწევს კრიტიკის ტონი, მაგრამ, როგორი იქნება ეს ვილნიუსის სამიტის შემდეგ, დამოკიდებულია მთავრობის ნაბიჯებზე. ამ მხრივ კი ხელისუფლების განცხადებები იმედის მომცემი არ არის. ჩვენ არჩევნების მეორე დღეს ვნახეთ პრემიერისა და არჩეული პრეზიდენტის წუხილი არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ 22%-თან დაკავშირებით. ვილნიუსის სამიტის შემდეგ მთავრობის გადაწყვეტილებებზე იქნება დაკავშირებული შემდეგი ხელმოწერის ბედი, – აცხადებს ჭიაბერაშვილი.

შეგახსენებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილის გამარჯვების შემდეგ სახელმწიფოს ცხრა რწმუნებულიდან ექვსმა გადადგომის შესახებ მოქმედ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართა და თანამდებობის დატოვების მიზეზად გამარჯვებულ საპრეზიდენტო კანდიდატთან თანამშრომლობის შეუძლებლობა დაასახელა.

განცხადება გადადგომის შესახებ უკვე დაწერეს ქვემო ქართლის რწმუნებულმა დავით კირკიტაძემ, იმერეთის გუბერნატორმა ვახტანგ ბალავაძემ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა თენგიზ გუნავამ, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა ივანე წიკლაურმა და გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა ვალერი ჩიტაიშვილმა.

პოლიციის თანამშრომლებს ბინები გადაეცათ

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციის თანამშრომლებს ახალი საცხოვრებელი ბინები გადასცა. შსს-ს ინფორმაციით, ბათუმის საქალაქო სამმართველოს მეორე განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელ მამუკა კობახიძეს, 21 სექტემბერს სახლი დაეწვა, ცეცხლმოკიდებული სახლიდან პოლიციელმა მხოლოდ ტაბელური იარაღის და შსს-ს თანამშრომლის მოწმობა გამოიტანა. კობახიძე მეუღლესა და სამ შვილთან ერთად უსახლკაროდ დარჩა. შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნული ამბის შეტყობის შემდეგ, პოლიციის თანამშრომელს ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე ახალი ბინა გადასცა. გარდა ამისა, მინისტრისგან ბინა გადაეცა 12 ოქტომბერს, სამეგრელოს სოფელ ხორგაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ შს თანამშრომელს დავით დემურიას ოჯახს თბილისში, ვაზისუბანში. გარდაცვლილი პოლიციელის შვილის, 8 წლის ნიკოლოზის სპორტულ აკადემიაში სწავლას ამიერიდან სამინისტრო დააფინანსებს. დავით დემურიას მეუღლე კი, შსს-ს სისტემაში დასაქმდება.

ნიუსპრესი

სასამართლომ ბაჩო ახალაია გაამართლა

ნათია ხურცილავა

შეიწყალებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი ბაჩო ახალაიას? ახალაია პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართავს. ამ ინფორმაციას თავდაცვის ყოფილი მინისტრის ადვოკატი გიორგი ონიანი ადასტურებს. ის აცხადებს, რომ შეწყალების თხოვნით პრეზიდენტისადმი მიმართვა არა ბრალდებულის, არამედ ადვოკატების პოზიციაა.

– სავარაუდოდ, ბაჩო ახალაიას მორალურად საწინააღმდეგო არ ექნება იმასთან დაკავშირებით, რომ ე.წ. კანონიერი ქურდების მიერ გამოტანილ განაჩენზე პრეზიდენტმა იგი შეიწყალოს, – განაცხადა ონიანმა.

თუმცა, შეიწყალებს თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილი ახალაიას, ამ ინფორმაციას ახალაიას კიდევ ერთი ადვოკატი დავით დეკანოიძე არ ფლობს. დეკანოიძე ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილს შეწყალების აქტის გამოცემა ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე შეუძლია.

– ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ანუ 17 ნოემბრამდე მიხეილ სააკაშვილი სრულფასოვანი პრეზიდენტია, ამიტომ შეუძლია, რომ ნებისმიერი პიროვნება შეიწყალოს, რომლის მიმართაც განაჩენი უკვე დამდგარია, – აღნიშნავს დეკანოიძე.

ბაჩო ახალაიას ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე განაჩენი მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ უკვე გამოუტანა. ვერდიქტის გახმოვანებას სასამართლო პროცესზე დიდი ხმაური მოჰყვა. მოსამართლის განაჩენი არც თავად ბაჩო ახალაიას არ მოუსმენია ბოლომდე.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ყოფილ თავდაცვის მინისტრს თავისუფლების 3 წლითა და 9 თვით აღკვეთა შეუფარდეს.

როგორც აღვნიშნეთ, შეიწყალებს თუ არა სააკაშვილი ახალაიას, ჯერ უცნობია, თუმცა, პრეზიდენტის მიერ ბაჩო ახალაიას შეწყალების შემთხვევაშიც, ახალაია საპყრობილეს მაინც ვერ დატოვებს, რადგან თავდაცვის ყოფილ მინისტრს სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

ბაჩო ახალაიას მიმართ ორ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი უკვე დადგა. მას მხოლოდ ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე თავისუფლების 3 წლითა და 9 თვით აღკვეთა მიუსაჯეს და ბრალი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით დაუმძიმდა. ე.წ. 7 სპეცრაზმელის საქმეზე ბაჩო ახალაიას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანეს.

ასევე გამართლდა ახალაიასთან ერთად ბრალდებული შვიდივე პირი – ალექსი დავითაშვილი, დავით ვეკუა, რობერტ სუთიძე, ვლადიმერ ზანგიევი, დავით გიორგაშვილი, დავით ჩუბინიძე და მამუკა აბაშიძე. განაჩენის გამოცხადებას დარბაზში შეკრებილები ტაშით შეხვდნენ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საქმე მოსამართლე დავით მგელიაშვილმა 2 თვეზე მეტია, განიხილა, თუმცა განაჩენი ამ დრომდე უცნობი იყო.

საქმე ეხება ბაჩო ახალაიას შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდს, როდესაც, გამოძიების ცნობით, მან კოალიცია „ქართული ოცნებისადმი“ სიმპათიის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს 7 თანამშრომელს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ახალაიას ბრალი საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 144-1-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებითა და ასევე სსკ-ის 144 მე-3 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით ედება.

ბაჩო ახალაია თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. დაცვის მხარის მტკიცებით, სპეცრაზმელების წამებას ადგილი არ ჰქონია და მათ საწვრთნელი კურსი „რეინჯერი“ გაიარეს. აღნიშნულ საქმეზე ბაჩო ახალაიასთან ერთად 7 პირია ბრალდებული. კიდევ ერთ საქმეზე, რომელიც ე.წ. სამხედროების წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას ეხებოდა, თავდაცვის ყოფილი მინისტრი გამართლდა.

როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე დღის წინ ბაჩო ახალაია სისხლის სამართლის პასუხისგებაში სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიეცა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

– მოსამართლემ გამოიტანა არა გამამართლებელი განაჩენი, არამედ, რაც სიმართლე იყო. – ეს შეფასება ეკუთვნის ე.წ. 7 სპეცრაზმელის საქმეზე ბრალდებულ მამუკა აბაშიძეს სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენთან დაკავშირებით.

– განაჩენი ჩემთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ არ გამხარებია, რადგან არაფერი დამიშავებია, ჩემი ქვეყნის სიყვარულისა და ბრძოლის მეტი. მიხარია, რომ სიმართლე დამტკიცდა. მოსამართლემ გამოიტანა არა გამამართლებელი განაჩენი, არამედ ის, რაც სიმართლე იყო. მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, – განაცხადა აბაშიძემ.

სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი მოულოდნელი არ ყოფილა ამ საქმეში კიდევ ერთ ბრალდებულ რობერტ სუთიძისთვის.

– სასამართლო პროცესი ისე მიდიოდა, რომ ნამდვილად ველოდი გამამართლებელ განაჩენს, იმიტომ, რომ ჩემ მიმართ ბრალდება უსაფუძვლოდ იყო წარდგენილი, – განაცხადა სუთიძემ.

ე.წ. 7 სპეცრაზმელის საქმეზე სასამართლომ ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად 7 ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა და ამ განაჩენს ბრალდებულები მიესალმებიან და აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ უსამართლო დევნა ხორციელდებოდა.

ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების განაჩენის შესახებ სასამართლომ განცხადება გუშინ გაავრცელა.

– ბაჩანა ახალაიასა და სხვათა მიმართ სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. 2013 წლის 31 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ბრალდებულ ბაჩანა ახალაიასა და სხვათა მიმართ.

საქმის მასალების თანახმად, ბრალდებულმა ბაჩანა ახალაიამ, 2012 წლის 18 აგვისტოს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, შს სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შვიდი თანამშრომლის მიმართ განახორციელა დასჯა-წამება და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაუკეთა ორგანიზება სპეცრაზმელების დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას. 2012 წლის 19 აგვისტოდან 21 სექტემბრის ჩათვლით, ბრალდებულები მამუკა აბაშიძე, დავით ჩუბინიძე, ალექსი დავითაშვილი, ვლადიმერ ზანგიევა, დავით გიორგაშვილი, რობერტ სუთიძე და დავით ვეკუა შს იმჟამინდელი მინისტრის დავალებით, იაღლუჯას საწვრთნელ ბაზაზე პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებით ახორციელებდნენ სპეცრაზმელების წამებას, დამცირებას, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას.

საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულებმა თავი არ ცნეს დამნაშავედ მათ მიმართ წარდგენილ ბრალდებებში. სასამართლო განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, მოსამართლე დავით მგელიაშვილმა მიიჩნია, რომ არ არსებობდა ბრალდებულთა დამნაშავედ ცნობისათვის საჭირო ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც დაადასტურებდა პირთა ბრალეულობას შერაცხულ ქმედებებში. ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა ბაჩანა ახალაიას, მამუკა აბაშიძის, დავით ჩუბინიძის, ალექსი დავითაშვილის, ვლადიმერ ზანგიევის, დავით გიორგაშვილის, რობერტ სუთიძისა და დავით ვეკუას დამნაშავედ ცნობისა და მათ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, საქმეზე შეკრებილი მასალების განხილვის შედეგად, ბრალდებულები უდანაშაულოდ მიიჩნია და მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

აღნიშნულ საქმეზე ჩატარდა 23 სხდომა, რომლებზეც განხორციელდა მტკიცებულებათა გამოკვლევა და მოწმის სახით დაიკითხა 10 დაცვის და 63 ბრალდების მოწმე, აქედან 7 დაზარალებული და 8 ბრალდებული. მხარეებს დასაბუთებული განაჩენი გადაეცემათ 14 დღის ვადაში.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

დადასტურდა, რომ ეს რეინჯერების კურსი იყო, – ნათქვამია განცხადებაში.

ბაჩო ახალაიას ადვოკატ გიორგი ონიანის განცხადებით, ე.წ. 7 სპეცრაზმელის საქმეზე გამამართლებელი განაჩენი მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

– როდესაც მოსამართლეს სუფთა წარსული აქვს, არ აქვს შევარდნაძის დროს ნამუშევარი საგადასახადოში, სხვადასხვა კორუმპირებულ სტრუქტურაში, მასზე ზეწოლა არ ჭრის. ეს დადასტურდა, რადგან იმ მოსამართლემ, რომელიც დანიშნული იყო იმ პერიოდში, როდესაც კორუფცია დამარცხდა, კანონიერი და სწორი გადაწყვეტილება გამოიტანა. ვისაც ნამუშევარი ჰქონდა შევარდნაძის დროს საგადასახადო სისტემაში, ჩემი აზრით, სწორედ ამით დაშანტაჟებულმა გამოიტანა ის გადაწყვეტილება, რაც რამდენიმე დღის წინ ვიხილეთ. აქედან გამომდინარე, უნდა გაგრძელდეს ის პრაქტიკა, როდესაც მოსამართლეებზე პროკურატურის ზეწოლა არ ჭრის, – აღნიშნა გიორგი ონიანმა.

ადვოკატები იუსტიციის მინისტრის განცხადებას ეხმაურებიან. მათი თქმით, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მინიმუმ ბოდიში უნდა მოუხადოს იმ ადამიანებს და მათ ოჯახებს, რომლებიც თვეების განმავლობაში განსასჯელის სკამებზე უკანონოდ დასვა.

– დადასტურდა, რომ ეს რეინჯერების კურსი იყო და მე მინდა, ვკითხო თეა წულუკიანს, რა ქნან იმ ადამიანების შვილებმა, მშობლებმა, რომლებიც უკანონო პატიმრობაში ამყოფეთ თვეების განმავლობაში. სპეცრაზმელებმა, რომლებიც განსასჯელის სკამზე დასვით და 7 თვის თავზე მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ. როგორ ჩახედავთ მათ და მათი ოჯახის წევრებს თვალებში და თვლით თუ არა, რომ ამ ადამიანებს, მინიმუმ, ბოდიში უნდა მოუხადოთ, – განაცხადა ონიანმა.

ე.წ. 7 სპეცრაზმელის საქმეზე პროკურორმა დავით მესტვირიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სასამართლო განაჩენის ნახვის შემდეგ გადაწყვეტს პროკურატურა, გაასაჩივროს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება.

– რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას, მე არაფრის თქმა არ შემიძლია, ვიდრე სასამართლოს განაჩენს არ ვნახავ. უნდა ვნახო დასაბუთებულობა და შემდგომ გადავწყვეტ, რას მოვიფიქრებ. ამ შემთხვევაში განაჩენის გასაჩივრებას ვგულისხმობ. რაც შეეხება ჩემ პოზიციას ამ საქმესთან მიმართებით, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელს, მიმაჩნია, რომ საქმეში არსებობს საკმარისზე მეტი მტკიცებულება, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულების მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას, – განაცხადა მესტვირიშვილმა.

ბაჩო ახალაიას ადვოკატი გიორგი ონიანი ჯერჯერობით არ ფლობს ინფორმაციას, თუ რა სახისა და რა ოდენობის მორალურ ზიანზე შეიძლება იყოს საუბარი, თუმცა აცხადებს, რომ ეს სავსებით ლოგიკურია, რადგან ეს ადამიანები 7 თვის მანძილზე ციხეში უკანონოდ ისხდნენ.

როგორც ცნობილია, განაჩენი ძალაში იქამდე არ შევა, ვიდრე ყველა ინსტანციას არ გაივლის. ამ შემთხვევაში საუბარია პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაზე. გაასაჩივრებს თუ არა პროკურატურა ზემდგომ ინსტანციებში, ამის შესახებ უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

მარგველაშვილის ინაუგურაციას რუსი პოლიტიკოსები არ დაესწრებიან

ნათია ხურცილავა

ინაუგურაციის ცერემონიალის საკითხთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მაია ფანჯიკიძის განცხადებით, პრეზიდენტის ინაუგურაციას რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალური პირები არ დაესწრებიან.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რუსეთი არ შედის იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომელთაც საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობა აქვთ.

– მე უკვე გამოვაცხადე გუშინ იმ ქვეყნების სია, რომლებსაც მოსაწვევები გაეგზავნებათ ინაუგურაციაზე დასასწრებად. ესენია ევროკავშირის, ნატო-ს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები და ასევე ის ქვეყნები, რომლებიც ამ გაერთიანებაში არ შედიან, მაგრამ თბილისში საელჩოები აქვთ. მათ რიცხვში რუსეთი არ შედის, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძემ რუსეთთან მიმართებით კიდევ ერთი განცხადება გააკეთა. საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გრიგორი კარასინის განცხადება შეაფასა.

საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, კარასინი იმედოვნებს, რომ გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დარეგულირება დაიწყება.

– ძალიან კარგია, თუ ამ საკითხს ოპტიმიზმით უყურებს, რადგან ჩვენ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მომხრე ვართ. მოგეხსენებათ, ამ მიმართულებით ბევრს ვაკეთებთ და, როდესაც მკითხეს, მოხდება თუ არა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ეს ჩემი დიდი სურვილია, რადგან ამას წინ საქართველოს დეოკუპაცია და აღიარების უკან წაღება უნდა უძღოდეს, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კომენტარი გააკეთა საკადრო პოლიტიკას ეხებოდა. ბოლო დროს გავრცელებული კულუარული ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილი შეიძლება პრემიერის პოსტზე ვიხილოთ, ღარიბაშვილის ადგილზე კი – კახა კალაძე. ამ გადაადგილებას მაია ფანჯიკიძე ლოგიკურად აფასებს.

როგორც ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა განუცხადა, მისთვის მომავალი პრემიერის კანდიდატურასთან დაკავშირებით ზუსტად ისაა ცნობილი, რა ვერსიებსაც ჟურნალისტები ავრცელებენ.

– მეც ზუსტად იმდენი ვიცი, რამდენიც თქვენ. კვირის ბოლოს პრემიერი ამ საკითხის განხილვას პოლიტსაბჭოს სხდომაზე აპირებს. მე პოლიტსაბჭოს წევრი არ ვარ, ამიტომ განხილვაზე არ ვიქნები, შესაბამისად, მომავალი პრემიერის ვინაობას გავიგებთ მაშინ, როცა მთავრობას კანდიდატურას წარუდგენენ, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება კითხვას, შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერების შემთხვევაში ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე დაიკავებს თუ არა შს მინისტრის თანამდებობას, საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეს ერთ-ერთი ვერსიაა.

– ეს ერთ-ერთი ვერსიაა, რომელიც, რასაკვირველია, სადღაც ლოგიკურიც არის, რადგან ნათქვამია, რომ პრემიერი მინისტრთა კაბინეტიდან იქნება და სათითაოდ ყველაზე შეგვიძლია, ახლა ვივარაუდოთ, მხოლოდ კაცებზე მაქვს ამ შემთხვევაში საუბარი, რადგან ვიცით, რომ პრემიერი ქალი არ იქნება, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

საქართველოსა და ისრაელს შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ და ისრაელის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის მოადგილე ზეევ ელკინმა გუშინ გამართულ შეხვედრაზე განიხილეს.

– ისრაელის სახელმწიფო თბილისში თავის რეგიონულ ამბასადორიალს ატარებს. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან აჩვენებს, რომ თბილისი მნიშვნელოვანი ქალაქია. დღევანდელ შეხვედრაზე ორმხრივ ურთიერთობებზე ვილაპარაკეთ, უფრო კონკრეტულ საკითხებზე, ვიდრე ამბასადორიალის ფარგლებში. განსაკუთრებული აქცენტი ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობასა და იმაზე გაკეთდა, რომ 2014 წელი ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობის 26-საუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნის თარიღად არის გამოცხადებული და ამ წელიწადს მრავალ ერთობლივ კულტურულ ღონისძიებას ჩავატარებთ, რომლის ფარგლებში მოხდება სინაგოგებისა და სასაფლაოების აღდგენა, მუზეუმების გახსნა და ასე შემდეგ, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

სოფიო ხორგუანი: „სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა აკონტროლოს მთავრობა“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ საინფორმაციო პორტალ „პლანეტა გე“-ს ხელმძღვანელ სოფიო ხორგუანთან

– ევროპარლამენტარები საქართველოს ხელისუფლებას ურჩევენ, სააკაშვილი არ მიეცეს პასუხისგებაში. ბრიუსელში ვიზიტის დროს სააკაშვილი ბაროზოს შეხვდა და ეს საკითხი იქნა განხილული. როგორია თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით?

– გავრცელდა ბაროზოს ოფიციალური განცხადება, რომელიც დაემშვიდობა მიხეილ სააკაშვილს. საუბარი შეეხო ვილნიუსის სამიტს და ითქვა, რომ საქართველო უახლოვდება ევროპას და მნიშვნელოვანია ის ღირებულებები, რომლებიც აქვს ევროპას, ასევე იყო რჩევა, რომ საქართველომ განაგრძოს სვლა დემოკრატიის გზით. როგორც ცნობილია, ევროკავშირის წარმომადგენელი და დამკვირვებელი საქართველოში თომას ჰამერბერგი იქნება. ქვეყანაში უნდა განვითარდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის კუთხით უნდა გადაიდგას ნაბიჯები, ქვეყანაში კეთილდღეობა უნდა იყოს და ამაზეც იყო აქცენტები გაკეთებული. მნიშვნელოვანია ის, რომ ბაროზომ სააკაშვილს უთხრა, დემოკრატია არ არის მხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნა, დემოკრატია არის პასუხისმგებლობა ოპოზიციაში ყოფნის დროსაცო. ბაროზომ ქართველ ხალხს და საქართველოს უსურვა ევროკავშირთან ერთად წარმატებული სვლა საერთო ღირებულებების მისაღწევად. ევროკავშირისთვის მოსაწონია თვალსაჩინო მიღწევები, რომელიც ევროპასთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას უკავშირდება. რაც შეეხება სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემას, მაღალი დონის ევროპელი თანამდებობის პირები ასეთ განცხადებებს არ აკეთებენ. ვინ უნდა მიეცეს პასუხისგებაში და ვინ არა, ამას გადაწყვეტს პროკურატურა სასამართლოსთან ერთად. მისასალმებელია, რომ ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში კვლავ თომას ჰამერბერგი იქნება. სახალხო დამცველის მოადგილედ როცა ვმუშაობდი, ჰამერბერგის მხრიდან უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობდით, სააკაშვილისგან პრობლემები რომ გვექმნებოდა. მის ობიექტურობაში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. ბევრი ევროპელი გვეუბნებოდა, ევროპისკენ მიდიხართ თუ სინგაპურისკენ, თუ ბრიუსელისკენ იყურებით, ეს სრულიად სხვა მიმართულებაა, ეს არ არის სინგაპური. ჩვენს გასაკეთებელს ევროპელი თანამდებობის პირები ვერ გააკეთებენ. შერჩევითი სამართალი არ უნდა იყოსო, ამას ყოველთვის ამბობდნენ, ეს ახალი არ არის, სააკაშვილის დროსაც ამას ამბობდნენ.

– კანონის უზენაესობა უნდა იყოს დაცული.

– დიახ, ამაზე ვსაუბრობ. სამართლებრივი სახელმწიფო სწორედ ამას გულისხმობს. შერჩევითი სამართალი და სამართლებრივი სახელმწიფო ერთმანეთს გამორიცხავს, თუმცა, ამავე დროს, ვიღაცა პრეზიდენტი იქნება, ქალაქის მერი თუ მინისტრი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს მისთვის ინდულგენციაა. თუ კანონი დაარღვია, პასუხი ყველამ უნდა აგოს, პრეზიდენტმაც და რიგითმა ადამიანმაც, კანონთან ყველა თანასწორია. ასეთი სახელმწიფო მინდა. იმიტომ არ მინდოდა სააკაშვილი ხელისუფლებაში, რომ იყო შერჩევითი სამართალი, ყველაფერი ეპატიებოდათ მიხეილსა და მის გუნდს. ძალადობა და უსამართლობა იყო. ეკონომიკური კეთილდღეობა, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო, რომელშიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებები დაცული იქნება, ამიტომ მინდა, ევროკავშირში იყოს საქართველო მოწინავე პოზიციაზე.

– არჩევნები გაცილებით უფრო დემოკრატიული, თავისუფალი იყო და მშვიდ გარემოში ჩატარდა, რაც მიღწევაა. ევროინტეგრაციის მიმართულებით კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა. თქვენ როგორ აფასებთ საპრეზიდენტო არჩევნებს?

– დიახ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროკავშირის, ნატოს უმაღლესი თანამდებობის პირების შეფასებები დადებითი იყო, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამკვირვებლებისა. ასეთი კარგი შეფასებები პირადად მე არ მახსოვს. თუ რაიმე დარღვევები იყო, ესეც მხოლოდ გაუნათლებლობითა და დაუკვირვებლობით ხდებოდა და არ იყო სისტემური დარღვევები, პოლიციური ტერორი არ იყო.

– ეს არჩევნები რომელი ხელისუფლების დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს – „ქართული ოცნების“ თუ ნაცმოძრაობის?

– რა თქმა უნდა, კოალიციის. სხვა არჩევნებშიც ვმონაწილეობდით, ვაქტიურობდით, მაგრამ ნაცმოძრაობა აყალბებდა, წერდა იმ ციფრებს, რაც მას სურდა. გასული წლის 1 ოქტომბერს 20% მაინც მოახერხა და მოიპარა, წინა ხელისუფლება რომ გვაყვედრიდა, ძალა არ გამოვიყენეთ და მშვიდობიანად ჩავატარეთ არჩევნებიო, ტანკები რომ გამოეყვანა სააკაშვილს ქვეყანაში ქაოსი დაიწყებოდა. ეს არის კოალიციის დამსახურება, რომ არ იყო ძალადობა, ტერორი, ადმინისტრაციული რესურსი არ იყო გამოყენებული და პოლიცია არ ერეოდა ამ პროცესში.

– რუსეთი გააქტიურდა, სერგეი ლავროვმა ქართველ ხალხს მიულოცა არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება, რუსეთის პატრიარქმა მარგველაშვილს პირადად მიულოცა, ერთ-ერთ გამოცემაში სტატია დაიბეჭდა სათაურით: „მარგველაშვილი – რუსეთის იმედი თუ იმედგაცრუება?“ რას ელოდება რუსეთი მარგველაშვილისგან?

– ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ მარგველაშვილი იყო იმედი საქართველოს მოსახლეობისთვის. რუსეთის ხელისუფლების პოზიცია მეორეხარისხოვანია, მთავარია, ჩვენ გვქონდეს იმედი, რომ ქვეყანა ნორმალური გზით მიდის. ევროპის ქვეყნები გვირჩევენ, რომ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობა გვქონდეს. რუსეთს რომ ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები, ეს მოცემულობა ისევ არის, ეს ჩვენს ურთიერთობებში სერიოზული პრობლემაა, ეს არის მემკვიდრეობა, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა დაგვიტოვა. ამ მდგომარეობაში ვართ და უნდა იყოს მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნისა და ჩვენი მოქალაქეებისთვის.

– კოაბიტაცია დასრულდა, ერთ შტოში ორხელისუფლებიანობა აღარ იქნება, პრეზიდენტის რწმუნებულები ტოვებენ პოსტებს, ახლა უფრო აქტიური ქმედებების დრო დადგა, რეფორმები გასატარებელია ყველა მიმართულებით. როგორ ფიქრობთ, რეფორმები რომელ მიმართულებებს უნდა შეეხოს?

– უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორედ ამ ერთი წლის განმავლობაში იყო იძულებითი კოაბიტაცია, ხელისუფლებას უწევდა სააკაშვილის მიერ დადებული ნაღმების და ხანძრის კერების ჩაქრობა და გამოვლენა, რთული იყო მწყობრი გადაწყვეტილებების მიღება. კარგი ანალიზი უნდა გაკეთდეს იმისა, რაც ახლა გვაქვს. ჩვენ გვაქვს ოკუპირებული ტერიტორიები. საქართველო ღატაკი ქვეყანაა, გვაქვს დიდი საგარეო ვალები, არ გვაქვს განათლების სისტემა, ყველა მიმართულებით პრობლემებია და ამ პირობებში ასეთი კარგი არჩევნები ჩავატარეთ.

უნდა შეფასდეს, ენერგეტიკაში, სოფლის მეურნეობაში რა პოტენციალი აქვს ქვეყანას, რომ სწორად განისაზღვროს, რა მიმართულებით განვითარდეს ქვეყანა. როცა ფიგურებით აწყობ სურათს, კარგად უნდა იცოდე, როგორი სურათი გინდა, რომ მერე შესაბამისი ფიგურები დადო ერთად. ეკონომიკის სამინისტრომ უნდა განსაზღვროს, როგორი ენერგეტიკა სჭირდება ქვეყანას, ენერგეტიკის სამინისტრომ სწორად უნდა შეაფასოს რესურსები, სანამ დიდ პროექტებს დაიწყებს. კარგად ვიცით, რომ ყველა დიდ პროექტში, რომლებიც სააკაშვილის დროს კეთდებოდა, იყო სააკაშვილის, ადეიშვილისა და მერაბიშვილის ინტერესები, თუნდაც ავიღოთ აჭარაში ჰესების მაგალითი. იქ იდო მერაბიშვილისა და სააკაშვილის ინტერესები. უნდა შევისწავლოთ, ეს პროექტები რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის. ახლა შესაძლებელია სახელმწიფო სტრუქტურების რეორგანიზაცია, ახლა საჯარო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი ბევრად აღემატება კერძო სექტორში დასაქმებულთა რიცხვს. ეს განუვითარებლობისა და ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. მთელი ქვეყანა, თითოეული მოქალაქე ინახავს უზარმაზარ გაბერილ სახელმწიფო აპარატს. ვფიქრობ, შესაძლებელია რეორგანიზაციის განხორციელება.

– პრემიერის პოსტი დიდი ინტერესს იწვევს, სახელდება კანდიდატურები. ეს პოსტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება. ამაზე როგორია თქვენი აზრი?

– დღეს ვინც უნდა დასახელდეს პრემიერად, მან და მთავრობამ უნდა მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები. მთავრობას უკვე აღარ ეყოლება ნაღმების დამდები ხალხი, გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა, მეტი შრომა და ძალისხმევა იქნება საჭირო ამ რეფორმების განსახორციელებლად. მართებული გადაწყვეტილება მიიღო ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, რომ მიდის სამოქალაქო სექტორში. სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა აკონტროლოს მთავრობა, რომ მან არ დაუშვას შეცდომები, მართვის სადავეები არ გაუშვას ხელიდან და კორუფცია არ მივიღოთ. პარლამენტიც მეტ ძალაუფლებას იღებს, ის აკონტროლებს მთავრობას, მხოლოდ კანონშემოქმედი ორგანო არ არის. ამიტომ სახელმწიფო აუდიტი მნიშვნელოვანია. დღეს, არ ვიცი, რას საქმიანობს ეს უწყება, მაგრამ კანონი უნდა შეიცვალოს, რეფორმა სწორედ აუდიტს უნდა შეეხოს.

– თქვენი აზრით, სამინისტროებში რა რეფორმები უნდა გატარდეს?

– იყო საუბარი, რომ რამდენიმე სამინისტრო უნდა გაერთიანდეს. ჩვენ არ გვჭირდება გაბერილი შტატები, უზარმაზარი საჯარო სექტორი. ჩემი აზრით, უნდა გაუქმდეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. ამ სამინისტროს ფუნქციების გადანაწილება მარტივად შეიძლება. დევნილთა სტატუსი შეიძლება სხვა სამინისტრომ გასცეს, მაგალითად, იუსტიციის სამინისტრომ, აფხაზეთის მთავრობა დევნილობაში უფუნქციოდ არის. მას შეიძლება ფუნქცია მიენიჭოს და დევნილების სოციალურ პროგრამებზე იმუშაოს, დევნილების განსახლების საკითხები შეიძლება ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოაგვაროს თვითმმართველ ორგანოებთან ერთად. რეინტეგრაციის სამინისტრო უნდა შენარჩუნდეს მანამ, სანამ გვაქვს კონფლიქტური რეგიონები.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ერთ-ერთი წარმატებული მინისტრია. როცა ვსაუბრობთ სასამართლო რეფორმის ჩავარდნაზე, ეს წულუკიანის ბრალი არ არის, კომპლექსური პრობლემაა. დღეს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა თორმეტი ვაკანტური ადგილია. თორმეტი პატიოსანი პროფესიონალი მოსამართლე დიდი გამარჯვება და სერიოზული ძალაა, კადრების დეფიციტი არის, მაგრამ თორმეტი პატიოსანი მოსამართლის შერჩევა შეიძლება. ქვეყანაში უმუშევრობა კი არ არის, არამედ არაპროფესიონალიზმია.

– რას იტყვით მარეგულირებელ კომისიაზე?

– ამ კომისიას უზარმაზარი ბიუჯეტი აქვს, უზარმაზარი ხელფასები აქვთ და პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდნენ. პარლამენტის საგამოძიებო კომისია სწავლობს ამ საკითხებს, კანონი აქაც შესაცვლელია, ორ ადგილზე კანდიდატურებს არჩევს ოპოზიცია და ხელისუფლება, პოლიტიკიდან თავისუფალი უნდა იყოს, პოლიტიკურ ძალთა ბალანსი ამ კომისიაში არ უნდა იყოს, დარწმუნებული ვარ, ვენეციის კომისია ამ კანონს დადებითად შეაფასებს. მნიშვნელოვანია განათლების საკითხი, მთელი ხელისუფლება ორიენტირებული უნდა იყოს განათლებაზე. ვერც სოფლის მეურნეობას ვერ განვავითარებთ და ვერც ენერგეტიკას, თუ განათლების სისტემას თვისებრივად არ შევცვლით. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბიუჯეტი განათლების სამინისტროს უნდა ჰქონდეს. მესმის, რომ მინისტრი შეიძლება კარგი მენეჯერი იყოს, მაგრამ მინისტრი მხოლოდ კარგი მენეჯერი არ არის, ის პოლიტიკის განმსაზღვრელია. მაია მიმინოშვილის პიროვნული დამსახურებაა, რომ სისტემა მუშაობს. სისტემა, პიროვნება და იდეა თანხვედრაში უნდ იყოს, განათლების სამინისტროში გვინდა იდეის არსებობა, სისტემა და ადამიანი, რომელიც ამას ფართოდ დაინახავს.

– განათლების მინისტრი შეიძლება შეიცვალოს?

– ეს ხელისუფლების გადასაწყვეტია, მაგრამ ყველაფერი ერთმანეთთან არის გადაბმული, ულტრათანამედროვე ორმოცი ტრაქტორი შეიძლება შევიძინოთ, მაგრამ არ გვყავს ორმოცი კარგი მექანიზატორი, რომელიც ამ ტრაქტორებს აამუშავებს. ამიტომ განათლების სამინისტროს ახალი ფუნქციები უნდა ჰქონდეს, გარემოს დაცვის მინისტრი არ არის ისეთი აქტიური, როგორიც მინდა, რომ იყოს, დიდი რვიანის შეხვედრები ყოველთვის ეკოლოგიითა და კლიმატის პრობლემების განხილვით იწყება. ეს სამინისტრო მეტად ქმედითი უნდა იყოს და ევროკავშირისგან დახმარებები უნდა მიიღოს, ახლა რა ხდება პარტიზანულად რგავენ ხეებს, თუ ევროპულ სახელმწიფოზე ვსაუბრობთ, განათლებისა და გარემოს დაცვის სამინისტროები წამყვანი სამინისტროები უნდა გახდნენ. ეკონომიკის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს განვითარების სტრატეგია დარგების მიხედვით და დავალებები მისცეს სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის სამინისტროებს.

ირაკლი ღარიბაშვილი ერთ-ერთი წარმატებული მინისტრია, ყველაზე რთული სამინისტრო მას ერგო, მან შეძლო და ამდენი ამნისტიისა და შეწყალების ფონზე ძალადობაზე დამყარებული პოლიტიზებული სისტემა ჩარჩოებში მოაქცია. თვისებრივად სხვა სამინისტრო გვაქვს, მაგრამ რეფორმები გასაგრძელებელია, მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუ საპატრულო პოლიცია მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში გადავიდოდა. ჩვენ აღარ ვართ პოლიციური სახელმწიფო და ეს ღარიბაშვილის დამსახურებაა. პროკურატურას რაც შეეხება, აქ ყველაფერი წინ არის. სხვა პროფესიონალიზმი გვჭირდება პროკურატურაში. სასამართლოზე კარგად დასაბუთებული საქმეები უნდა წარადგინოს, რაც ადეიშვილის დროს არ იყო.

ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ განათლების სამინისტროდან მნიშვნელოვანი დოკუმენტები წინა ხელისუფლებამ გააქრო. ეს ეხებოდა განათლების სამინისტროში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან თანხების არამიზნობრივ ხარჯვას, ვფიქრობ, ეს საკითხი პროკურატურამ უნდა შეისწავლოს.

არასამთავრობოები „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ დაკავშირებით ევროსაბჭოს დასკვნის მომზადებას ითხოვენ

არასამთავრობო ორგანიზაციები „საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტი“ და „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ მთავრობას „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა“ და „დედაქალქის – თბილისის შესახებ“ კანონში ცვლილებებან დაკავშირებით რეკომედაციებს აძლევს. როგორც აღნიშნული ორგანიზაციების განცხადებაშია აღნიშნული, გუშინ საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა საქართველოს კანონპროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. „არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ კანონპროექტი არ შესაბამება ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დებულებებს. საკითხის უაღრესად დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე და მოახლოებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე ასოცირების შეთანხმების პარაფირების შესაძლებლობის გათვალისწინებით, სადაც ჩვენი ინფორმაციით, ჩადებულია თავი ადგილობრივი დემოკრატიის შესახებ, მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას თავი შეიკავოს ნაჩქარევი ქმედებებისგან“ – აცხადებენ ორგანოზაციები.

მათი განცხადებით, აუცილებელია კოდექსის პროექტის პირველი მოსმენით დამტკიცებამდე საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი ექსპერტიზისთვის ევროპის საბჭოს შესაბამის სტრუქტურებში გადაგზავნონ და ევროსაბჭოს დასკვნა და რეკომენდაციები გაითვალისწინონ. ამასთან, ისინი მიიჩნებენ, რომ კანონპროექტი საჯაროდ უნდა იქნეს განხილული.

„საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტი“ და „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ დაუსაბუთებელს უწოდებენ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტს, რომელიც „საქართველოა დედაქალაქ– თბილისის შესახებ“ კანონში ცვლილებებს ითვალისწინებს. „აღნიშნული კანონი შეფასებული იყო ევროპის საბჭოს მიერ. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელივანია კანონში ნემისმიერი ძირეული ცვლილების შეტანამდე, შესაბამისი შეფასება და რეკომენდაციები მომზადდეს სწორედ ევროპის საბჭოს მიერ. გამოვთქვავთ იმედს, რომ ჩვენი რეკომენდაციები ჯეროვნად იქნება განხილული და გათვალისწინებული საქართველოს ხელისუფლების მიერ“ – აღნიშნავენ ორგანიზაციები.

ნიუსპრესი

„თავისუფალი საქართველო“ ბაჩო ახალაიასთვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანას აპროტესტებს

პოლიტიკური პარტია „თვისუფალი საქართველოს“ წევრები თავდაცვისა და შს ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას აპროტესტებს და მას „ქარათული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან საზოგადოების დაცინვას უწოდებს.

„თავისუფალი საქართველო“ საზოგადოებას მოუწოდებს, ყოფილი და ამჟამინდელი ხელისუფლების ცინიზმი არ მოითმინოს

„ეს წარმოადგენს საზოგადოების, მათ შორის „ქართული ოცნების“ ამომრჩევლების დაცინვას. მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნოდ მმართველი გუნდის მთავარ დაპირებას კოჰაბიტაციის დასრულება წარმოადგენდა, მას შემდეგ რაც გიორგი მარგველაშვილმა გაინაღდა პრეზიდენტის პოსტი, დაიწყო „ნაციონალური მოძრაობის“ სრული გათეთრება. ეს საქმე ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ეპიზოდი იყო ახალაიას ბრალდებაში, რომლის მიხედვითაც, მას ბრალად შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში 7 სპეცრაზმელის განსხვავებული პოლიტიკური ნიშნით წამება და არაადამიანური მოპყრობა ედებოდა“– აცხადებენ პარტიაში.

ბაჩო ახალაია და მასთან ერთად ბრალდებული პირები, ე.წ. 7 სპეცრაზმელის საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით გამართლდნენ.

ნიუსპრესი

აბიტურიენტებს არჩევით საგნად ხელოვნებას შესთავაზებენ

მერი ნამორაძე

ეროვნული გამოცდების ცენტრმა აბიტურიენტებს სიურპრიზი მოუმზადა. სიახლე უცხო ენის გამოცდას ეხება, რომელსაც მომავალი წლიდან მოსმენის ნაწილი დაემატება. გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა გუშინ ჟურნალისტებს ის სიახლეები გააცნო, რომელსაც ეროვნული ცენტრი აბიტურიენტებს 2014 წელს შესთავაზებს.

მისაღებ გამოცდაზე დაახლოებით 10 წუთი იქნება გამოყოფილი იმისთვის, რომ აბიტურიენტმა მოისმინოს ტექსტი შესაბამის ენაზე და შემდეგ შეასრულოს დავალება. მიმინოშვილის თქმით, სწორედ ამ დროის განმავლობაში უნდა გასცენ კითხვებს პასუხები. აღნიშნული ნაწილი 8 ქულით შეფასდება და უცხო ენის გამოცდა სწორედ მოსმენის ნაწილით დაიწყება.

როგორც მიმინოშვილმა განმარტა, უცხო ენის გამოცდის რამდენიმე სამუშაო ვარიანტი სკოლებს გადაეგზავნება და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზეც განთავსდება. სკოლებში შესაბამისი დისკების დარიგება კი ხვალიდან დაიწყება.

სიახლეა არჩევით საგნებთან დაკავშირებით. 2014 წლიდან აბიტურიენტებს მეოთხე არჩევით საგნად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩაბარების შესაძლებლობა ექნებათ. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ საგნის სწავლება I-IX კლასის ჩათვლით სავალდებულოა, დამამთავრებელ კლასებში კი არჩევით საგნად ისწავლება.

მიმინოშვილის თქმით, 2014 წელს აბიტურიენტებს შეეძლებათ, განაცხადში მიუთითონ ყველა პროგრამა, რომელიც მათ მიერ არჩეული გამოცდისთვის ბარდება – არჩეული პროგრამების რაოდენობა შეზღუდული არ იქნება. ამასთან, აბიტურიენტებს საბოლოო არჩევანის გაკეთება ყველა გამოცდის შედეგის გაგების შემდეგ კვლავ შეეძლებათ.

ირაკლი ალასანია თურქეთის ელჩს დაემშვიდობა

საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ლევენთ მურან ბურჰანთანმა საქართველოში დიპლომატიური საქმიანობა დაასრულა. გუშინ თურქი დიპლომატი გამოსამშვიდობებლად საქართველოს თავდაცვის მინისტრს ეწვია. ირაკლი ალასანიამ სტუმარს სამხედრო სფეროში მხარდაჭერისა და აქტიური თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრის დასასრულს მხარეებმა სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს.

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას მრავალწლიანი, მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს. თურქეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პროცესში სრულ მხარდაჭერას უცხადებს. თურქეთ-საქართველოს ორმხრივი სამხედრო ურთიერთობა თანამშრომლობის ფართო სპექტრს მოიცავს, მათ შორის, სამხედრო განათლებას, ლოგისტიკურ, სამხედრო-ტექნიკურსა და სხვა სფეროებს.

მედიანიუსი

მერიის უფლებები მცირდება

მერი ნამორაძე

„დედაქალაქ თბილისის შესახებ“ კანონში ცვლილებები შედის, რომლის მიხედვით, საკრებულოს კომპეტენცია იქნება მერის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საქალაქო სამსახურების უფროსების, მერიის ადმინისტრაციის უფროსისა და ქალაქ თბილისის რაიონების გამგებლების თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა, ასევე მათთვის უნდობლობის გამოცხადება. საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორები არიან დეპუტატები გია ჟორჟოლიანი და ირაკლი ტრიპოლსკი. აღნიშნულ ცვლილებას საპარლამენტო უმრავლესობა მხარს უჭერს. ინიციატივა მერიაში უკვე მოინათლა მათ საწინააღმდეგო კამპანიად.

ახალმა ინიციატივამ თბილისის მერის ლამის შეუზღუდავი უფლებები უნდა შეკვეცოს. საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე ჯაბა სამუშიას თბილისის მერის განუსაზღვრელი ძალაუფლების სადემონსტრაციო მაგალითად გასული კვირის შემთხვევა მოჰყავს, რომელიც უგულავა საკრებულოში იყო დაბარებული, მაგრამ არ გამოცხადდა. დაბარება კანონის საფუძველზე მოხდა და ქალაქის მერმა „თბილისის შესახებ“ კანონი დაარღვია, თუმცა მისი პასუხისმგებლობის საკითხი დოკუმენტში გაწერილი არ არის. „პირველის“ პრესკლუბში სამუშიამ განაცხადა, რომ, დღევანდელი კანონმდებლობით, თბილისის მერს პრეზიდენტსა და პრემიერზე მეტი უფლებები აქვს თბილისის დონეზე – ის ერთპიროვნულად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს და საკრებულოს ზემოქმედების არანაირი რეალური ბერკეტი არ გააჩნია.

– ის თბილისის მასშტაბით არის ის, რაც შუა საუკუნეებში იყო ქალაქის ამირა, მაგრამ იმასაც კი ჰყავდა შემზღუდველი. დღეს კი ქალაქის ამირა უგულავას ესეც არ ჰყავს. ამ ცვლილებებს მხარს ვუჭერ, რადგან ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ აღდგეს ნორმალური ურთიერთობა საკრებულოსა და მერიას შორის და საკრებულომ დაიბრუნოს ის ფუნქციები, რაც ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში თვითმმართველობას გააჩნია. კანონი „თბილისის შესახებ“, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ასე დაამახინჯა, უნდა გამოვასწოროთ. ამას არ ექნება საბოლოო, იდეალური სახე, მაგრამ პროცესი უკვე დაწყებულია და ჩვენ ჩართულები ვიყავით მასში. უახლოეს მომავალში გვექნება შეხვედრა პარლამენტში იმ ჯგუფთან, რომელმაც ეს ცვლილებები მოამზადა, – განაცხადა სამუშიამ.

რაც შეეხება მერის იმპიჩმენტის შესაძლებლობას, სამუშია აცხადებს, რომ ცვლილებები ამას არ ითვალისწინებს, თუმცა ის ამ შესწორების მომხრეა.

– მოვითხოვ, რომ ეს მუხლიც იყოს ჩამატებული. მერი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას საკრებულოსა და ხალხის წინაშე, – აცხადებს სამუშია.

თავად თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი აცხადებს, რომ უმრავლესობას სურს, შექმნას ისეთი კანონი, რომელიც თბილისელებსა და მომავალზე იქნება ორიენტირებული. აღნიშნული კანონის შესაბამისად, მოსახლეობა მიიღებს მმართველობის ისეთ ფორმას, რომელიც ბევრად დემოკრატიული იქნება.

მერის იმპიჩმენტის საკითხთან დაკავშირებით შიხიაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის ამას სუბიექტური მნიშვნელობა არ აქვს.

– მე არ მინდა, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, ყბადაღებულად ვილაპარაკო იმაზე, რომ მერის იმპიჩმენტი უნდა შევიდეს კანონში. ამას ჩემთვის სუბიექტურად მნიშვნელობა არ აქვს. ჩემთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მმართველობის ფორმა ქალაქში არსებობდეს ისეთი, რომ სწორედაც პარალიზებული არ გახდეს ქალაქი მომავალში, – განუცხადა ჟურნალისტებს შიხიაშვილმა.

გუშინ პარლამენტში ინიცირებულ „დედაქალაქ თბილისის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტს საგანგებო ბრიფინგით გამოეხმაურა საკრებულოს წევრი კოკი იონათამიშვილი. იგი საკითხის გადაწყვეტაში საკრებულოს უფრო აქტიურად ჩართვის მიზნით ოთხი ახალი ინიციატივით გამოვიდა.

იონათამიშვილი მიიჩნევს, რომ კანონის საფუძველზე საკრებულოს აუცილებლად უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, აღკვეთოს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ინიცირებული პოლიტიკურად ანგაჟირებული და უსაფუძვლო გადაწყვეტილებები.

– თბილისის ბიუჯეტისა და მასში ცვლილებების მიღებაში თბილისის საკრებულოს უნდა გააჩნდეს ეფექტური მონაწილეობის საშუალება. დღეს მოქმედი კანონით, მას შეუძლია, მხოლოდ მიიღოს ან არ მიიღოს მთლიანი ბიუჯეტის პროექტი, რის გამოც საკრებულო ვერ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას ცალკეული საბიუჯეტო მუხლებისადმი, ამიტომ აუცილებელია, საკრებულოს გააჩნდეს ბიუჯეტის პროექტის ნაწილობრივი მხარდაჭერის საშუალება. ასევე, დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან უნდა არსებობდეს გამგებლების, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელების, მერის მოადგილეების უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი. სხვა შემთხვევაში ეს თანამდებობების პირები ანგარიშვალდებულებას მხოლოდ თბილისის მერის მიმართ გამოხატავენ და მათი მხრიდან ხშირი იქნება პოლიტიკურად და არა სოციალურად მოტივირებული ქმედებები, – განაცხადა კოკი იონათამიშვილმა.

საკრებულოს დეპუტატმა მერის იმპიჩმენტის პროცედურაზეც ისაუბრა, რომელიც, მისი აზრით, როგორც საკრებულოს წევრთა მაღალი კვორუმით, ასევე თბილისელთა გარკვეული რაოდენობის მხრიდან უნდა იყოს ინიცირებული, თუმცა აქვე დასძინა, რომ ამ ნორმის ამოქმედება მიზანშეწონილი იქნება უახლოესი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ.

კოკი იონათამიშვილის მეოთხე ინიციატივა კი თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების საქმიანობას შეეხებოდა. დეპუტატის განმარტებით, თბილისის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ეს ორგანიზაციები განკარგავენ და აუცილებელია, საკრებულოს მათი მონიტორინგის ქმედითი საშუალება გააჩნდეს.

კოკი იონათამიშვილი მიიჩნევს, რომ კანონში ზემოთ აღნიშნული ცვლილებების განხორციელება ხელს შეუწყობს საკრებულოს უფლებამოსილებებს, ასევე, ეფექტურად ეხმარებოდეს ადგილობრივ ინიციატივ

რას ითხოვენ ღვაწლმოსილი ქორეოგრაფები?

საქართველოს ღვაწლმოსილი ქორეოგრაფები საქართველოს პრემიერ მინისტრს ბიძინა ივანიშვილს და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიას საგანგებო წერილით მიმართავენ, რომელშიც საქართველოს სახალხო არტისტის ენვერ ხაბაძის 90 წლის იუბილის ორგანიზების თხოვნით მიმართავენ. ქორეოგრაფთა კავშირი საქართველოს მთავრობას მიმართავს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

– მოგეხსენებათ, როგორი მდიდარი ტრადიციებით გამოირჩევა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ქმნიდნენ და ასულდგმულებდნენ ანონიმი ავტორები. განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში შეიძინა ჩვენმა ხალხურმა ქორეოგრაფიამ პროფესიული სახე და სცენაზე გადმოინაცვლა ახალი ფორმითა და შინაარსით.

ქართული ცეკვის კლასიკოსების დავით ჯავრიშვილის, ნინო რამიშვილის, ილიკო სუხიშვილის, ჯანო ბაგრატიონის, გიორგი (ბუხუტი) დარახველიძის სახელთან ერთად მუდამ მოიხსენიება კიდევ რამდენიმე ქორეოგრაფი, ვინც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართული პროფესიული ცეკვის განვითარებას. მათ შორის გახლავთ საქართველოს სახალხო არტისტი ენვერ ხაბაძე.

იგი თითქმის ექვსი ათეული წელი ემსახურა სანუკვარ საქმეს, რითაც განუზომელი წვლილი შეიტანა მის გამდიდრებასა და რეპერტუარის გამრავალფეროვნებაში. იგი მოგვევლინა საქართველოს ძირძველი კუთხის – აჭარის საცეკვაო ფოლკლორის ნამდვილ რეფორმატორად, რომელმაც ახალი სუნთქვა და სიცოცხლე მიანიჭა აჭარულ და ლაზურ ხალხურ ცეკვებს.

1946 წელს ენვერ ხაბაძემ პირველად დადგა სცენაზე და ქორეოგრაფიულ სამყაროს გააცნო აჭარული სატრფიალო ცეკვა, სახელიც თავად შეურჩია და „განდაგანა“ უწოდა. მანვე ქართულ რეპერტუარში დაამკვიდრა დიდებული ცეკვები „გადახვეული ხორუმი“ და „ოჭოი ნანო“. 1947 წელს კი ენვერ ხაბაძემ შექმნა „ლაზ მეთევზეთა ცეკვა“, იგივე „ლაზური“, როგორც მას უფრო ხშირად უწოდებენ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სწორედ ენვერ ხაბაძემ დაამკვიდრა ქალის ცეკვა აღნიშნულ ქორეოგრაფიულ ნიმუშებში. 1948 წელს ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მიწვევით ენვერ ხაბაძემ საქართველოს ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში დადგა „გადახვეული ხორუმი“ და „ლაზური“, 1966 წელს კი აქვე „ხორუმის“ დადგმა განახორციელა.

აღსანიშნავია, ისიც რომ ენვერ ხაბაძემ ქორეოგრაფიის მუსიკალურ ნაწილში პირველად შემოიტანა ჭიბონის ხმოვანება, რითაც ამ ცეკვებმა ახალი პლასტები შეიძინა. ენვერ ხაბაძის ნაწრთობ ნიმუშებს ცეკვის დიდი ოსტატისა და მესაიდუმლის კვალი ატყვია. ეს გახლავთ მკაფიო ხელწერითა და სინატფიით გამორჩეული ხელოვნება, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართულ საცეკვაო რეპერტუარში და ამასთან, საყოველთაო აღიარებაც მოიპოვა.

ფასდაუდებელია ენვერ ხაბაძის თავდადებული მოღვაწეობა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც მან თითქმის ნახევარი საუკუნე შეალია. სწორედ ამ ანსამბლის მეშვეობით განიერცო და პოპულარული გახდა მთელ საქართველოში აჭარული და ლაზური ცეკვები. თავის მხრივ ბატონი ენვერი მუდმივად ამდიდრებდა საკუთარი ანსამბლის რეპერტუარს საქართველოს სხვა კუთხეების ქორეოგრაფიული მონაპოვრებით. მანვე აღზარდა ნიჭიერ მოცეკვავეთა და ქორეოგრაფთა მთელი თაობები, რომლებიც დღეს ქართულ ცეკვას ემსახურებიან და სახელს უთქვამენ.

ენვერ ხაბაძეს უკავშირდება ბათუმის საქალაქო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „სალაღობოს“, ბავშვთა ანსამბლ „გაზაფხულის“, ასევე ბათუმის მერიასთან არსებული ანსამბლის „ბათუმის“ შექმნა. ეს უკანასკნელი ამჯერად ენვერ ხაბაძის სახელს ატარებს.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა მისი გარდაცვალების შემდეგ დააწესა ენვერ ხაბაძის სახელობის პრემია, რითაც უკვდავყო მისი, როგორც სახელოვანი ქორეოგრაფის წარუშლელი კვალი და ნამდვილი სახალხო აღიარება.

ენვერ ხაბაძის 75 წლის იუბილე 1998 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

მიმდინარე წლის 12 დეკემბერს, ენვერ ხაბაძეს დაბადებიდან 90 წლისთავი უსრულდება. ამ მოვლენასთან დაკავშირებით საჭიროდ მივიჩნევთ შევახსენოთ ჩვენს საზოგადოებას ის ღვაწლი, რომელიც ქართული სულიერების აღორძინებაში მიუძღვის ამ დიდებულ მამულიშვილსა და ხელოვანს.

მას არაერთხელ ჰქონდა შესაძლებლობა ეცხოვრა და ეშრომა დედაქალაქში, მაგრამ არასოდეს დაუტოვებია მშობლიური აჭარა და ბათუმი. აქ ემსახურებოდა იგი თავის საყვარელ საქმეს და საქვეყნო იდეალებს.

მისასალმებელი იქნება, თუკი ენვერ ხაბაძის საიუბილეო პროგრამა მალევე შედგება და მისი საღამოები გაიმართება თბილისსა და ბათუმში, კარგი იქნება ასევე გამოიცეს მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნი, მისი სახელი დაერქვას ქუჩას, გაიხსნას ბიუსტი, რომელიმე სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებელში დაწესდეს მისი სახელობის სტიპენდია, შეიქმნას დოკუმენტური ფილმი, ჩატარდეს სამეცნიერო კონფერენცია... უკვდავყოფის მრავალნაირი ფორმა არსებობს და ენვერ ხაბაძე თავისი საჩინო ღვაწლით სამართლიანად იმსახურებს ამგვარ გამორჩეულ ყურადღებას და პატივგებას.

იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენ გულისყურით მოეკიდებით წინამდებარე იუბილეს და მის სათანადოდ აღნიშვნაში დაგვეხმარებით.

მოგმართავთ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის სახელით ლაუში (რეზო) ჭანიშვილი (საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი); ფრიდონ სულაბერიძე (საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი); ომარ მხეიძე (საქართველოს სახალხო არტისტი,ეროვნული პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე); რევაზ ჭოხონელიძე (საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი); ოლეგ ალავიძე (ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი); უჩა დვალიშვილი (ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი).

ეკა ირემაშვილი

დავით შემოქმედელი: „პრეზიდენტის რეზიდენციაში რუსთაველის მუზეუმი განვათავსოთ“

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის საზოგადოება და მისი ხელმძღვანელი დავით შემოქმედელი გამოდის ინიციატივით ავლაბარში მდებარე პრეზიდენტის სასახლეში რუსთაველის მუზეუმი განთავსდეს. გენიალური მოაზროვნე, რომლის საფლავიც კი არ ვიცით ქართველებმა, დავით შემოქმედელის აზრით, საკადრისად უნდა იყოს დაფასებული და სწორედ ამიტომ ავლაბრის რეზიდენციაში უპრიანი არ იქნება, თუკი ქართული ცივილიზაციის მუზეუმი განთავსდება.

დავით შემოქმედელი:

– გვაქვს იდეა – პრეზიდენტის სასახლე, რომელიც ავლაბარშია განთავსებული, ქართული ცივილიზაციის მუზეუმად გადაკეთდეს. ეს იყოს რუსთაველის მუზეუმი-სასახლე.

– შეეფერება რუსთაველს ასეთი სასახლე?

– რა ვიცი, ახალ შენობას არავინ იძლევა და... ეს ალბათ კიდევ დასაფიქრებელია, მაგრამ თუკი სივრცეში განთავსდება სხვადასხვა მუზეუმების ექსპონატები, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნება იმ ეპოქასთან, რომელშიც შოთა რუსთაველი მოღვაწეობდა, მაშინ რატომაც არა?! თანამედროვე ინტერიერიც შეიძლება რუსთაველის ეპოქის შესაბამისად მოეწყოს და გამოყენებულ იქნას სათანადოდ. არის ევროპაში ასეთი რამ – გოეთეს მუზეუმი და სხვა ცნობილი მწერლების მუზეუმები თანამედროვე ინტერიერში. ჩვენ ამ სასახლეში წარმოვადგინოთ XII საუკუნის თამარის დროინდელი ცივილიზაცია და მშვენიერი რამ გვექნება.

– ეს მხოლოდ თქვენი იდეის დონეზეა თუ უკვე საქმის კურსშია კულტურის სამინისტრო?

– არა, ჯერ მხოლოდ ჩემი იდეის დონეზეა, მაგრამ რუსთაველის საზოგადოება გამოთქვამს ამ სურვილს. შეიძლება მთელი შენობა ვერ ავითვისოთ, მაგრამ ერთ ნაწილში ნამდვილად შესაძლებელია რუსთაველის მუზეუმის მოწყობა. თუკი მუზეუმი მაღალ დონეზე გაკეთდება, მაშინ მთელი შენობის ათვისებაც იქნება შესაძლებელი. თუკი მთელი ეპოქის ცივილიზაციას მაქსიმალურად წარმოვადგენთ, მაშინ მთელი შენობა დაგვჭირდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსთაველი ჩვენი ერის სულიერი პასპორტია. როცა ჩამოსულ სტუმარს აჩვენებ, რომ თამარის ეპოქაში ასეთი მოაზროვნე გყავდა და ამ დონეზე იყავი კულტურულ ჭრილში, ეს იქნება საკმაოდ ხმამაღალი განაცხადი ჩვენი ერისთვის. ჩვენი დიდი სურვილია, რომ იმ ეპოქის ცივილიზაციის მუზეუმი განთავსდეს ამ შენობაში და ეს იქნება საკმაოდ სოლიდური რამ. მერე უკვე უფრო დიდი ინტერესიც გაჩნდება ჩვენი ქვეყნის მიმართ, როგორც ასეთი ცივილიზაციის პატრონის და სულ სხვანაირად შემოგვხედავს მსოფლიოც. ახლა რომ ამბობენ, ყველა ქვეყანას თავისი ბრენდი აქვსო, რუსთაველი ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნის ბრენდი. XII საუკუნე შეგვიძლია უფრო წინ წამოვწიოთ როგორც დასავლური და აღმოსავლური მოაზროვნე ქვეყანა. ისეთი პატარა ქვეყნის წარმომადგენელი, როგორიც საქართველოა, შოთა რუსთაველი ნამდვილად მოვლენაა. მას ისე ზედმიწევნით აქვს თავისი ცოდნა გამოვლენილი ასტროლოგია-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

პროკურატურა ბაჩო ახალაიას საქმეზე გამოტანილ განაჩენს გაასაჩივრებს

მთავარი პროკურატურა ბაჩანა ახალაიასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. მასში ნათქვამია, რომ გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით მგელიაშვილმა გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა ბრალდებულების – ბაჩანა ახალიას, ალექსი დავითაშვილის, ვლადიმერ ზანგიევას, მამუკა აბაშიძის, დავით ჩუბინიძის, დავით გიორგაშვილის, რობერტ სუთიძის და დავით ვეკუას მიმართ.

ბრალდებულებს ბრალი ედებოდათ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, წამებაში, დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობაში და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ ბრალდებულმა ბაჩანა ახალაიამ 2012 წლის აგვისტოში ორგანიზება გაუკეთა შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე შვიდი თანამშრომლის წამებას, დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი დანარჩენ ბრალდებულთა მიერ. ბრალდებულთათვის წარდგენილი ბრალდებები დასტურდებოდა ყველა (7) დაზარალებულისა და 63 მოწმის ჩვენებით, ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით. მას შემდეგ, რაც ბრალდების მხარეს ჩაბარდება სასამართლოს მოტივირებული განაჩენი, მიღებული იქნება გადაწყვეტილება მისი გასაჩივრების შესახებ.

მედიანიუსი

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შშს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მონესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

ზაზა ფაჩულიამ სეზონი ორმაგი დუბლით გახსნა

ქართველი ცენტრი „მილუოკი ბაქსს“, სადაც 2003-04 წლების სეზონი გაატარა, დიდებული თამაშით დაუბრუნდა. ნბა-ს ჩემპიონატის პირველ მატჩში მილუოკელები „მედისონ სკვერ გარდენში“ „ნიუ იორკს“ შეხვდნენ და მიუხედავად იმისა, რომ 83:90 დამარცხდნენ, ქართველი გულშემატკივარი მაინც კმყოფილი იქნება.

ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა თავდაუზოგავი თამაშით მწვრთნელის სიმპათია დაიმსახურა და თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩართული მოედანზე დიდი ხნით დარჩა. სასტარტო ღარი სანდერსმა 12 წუთი ითამაშა, ხოლო მისმა ნომინალურმა შემცვლელმა ფაჩულიამ მოედანზე მთლიანობაში 34 წუთი გაატარა. ზაზა საბოლოოდ მილუოკელთაგან საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა, მისმა მონაგარმა 13 ქულა, 11 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა შეადგინა. ქართველმა ცენტრმა 10-დან 6 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

მილუოკელები მეორე მეოთხედში 25 ქულით აგებდნენ, თუმცა ანგარიშის შემცირება და გამარჯვების რბოლაში ჩართვა მოახერხეს. გადამწყვეტ მომენტში მასპინძლებმა მეტი მობილიზება გამოავლინეს და საბოლოოდ 7 ქულის სხვაობით იმარჯვეს.

მომდევნო მატჩს „მილუოკი“ 2 ნოემბერს, ბოსტონში გამართავს.

დიდი სტუმრიანობა საქართველოში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს პატრიკ ჰიკს უმასპინძლა. შეხვედრას ევროპის ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი გვიდო დე ბონდი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი დაესწრნენ. მხარეებმა განიხილეს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის საორგანიზაციო საკითხები, რომელიც 2015 წელს თბილისში უნდა გაიმართოს.

საუბარი შეეხო ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარების პერსპექტივებს. როგორც შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, საქართველო სპორტული ქვეყანაა, რასაც მოწმობს 35 ოლიმპიური ჩემპიონის არსებობა. მანვე იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მიეცემა საშუალება, უმასპინძლოს არაერთ ევროპულ თუ მსოფლიო სპორტულ ღონისძიებას.

– კარგია, რომ ამ მხრივ იდგმება კონკრეტული ნაბიჯები. 2013 წელს თბილისში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში, ხოლო 2015 წელს ტარდება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი და ასევე ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში, – განაცხადა პრემიერმა.

პარალელურად საქართველოში 2-დღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ლეგენდარული უკრაინელი სპორტსმენი, მძლეოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს 6-გზის ჩემპიონი, ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი – სერგეი ბუბკა.

ბუბკას საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის – თბილისი 2015-ის ხელმძღვანელ ალექსი ახვლედიანთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი სამინისტროში შეხვდა.

მხარეებმა თბილისში 2014 წელს დაგეგმილ მძლეოსნობის ევროპის ჩემპიონატის, ასევე 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებზე და საქართველოში მძლეოსნობის სამომავლო განვითარების თემებზე ისაუბრეს.

ვიზიტის ფარგლებში სერგეი ბუბკა სტუმრობდა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, ლეგენდარულმა სპორტსმენმა ასევე დაათვალიერა თბილისი 2015-ისთვის მშენებარე ოლიმპიური სოფელი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, ასევე ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე სპორტული ინფრასტრუქტურა და დიდუბეში მდებარე მძლეოსნობის სასახლე.

19-წლამდელთა ნაკრები ფინალშია

2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს 19-წლამდე მორაგბეთა ნაკრები წაუგებლად ასპარეზობს. 30 ოქტომბერს ნახევარფინალურ მატჩში მათ დამაჯერებელი ანგარიშით 31:3 სძლიეს ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრებს და 2 ნოემბერს გასამართი ფინალის საგზური მოიპოვეს.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში, გაირკვა უმცროსი ბორჯღალოსნების მეტოქე. ბელგიის 19-წლამდელთა ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა პორტუგალიის ნაკრებთან (11:13) და შესაბამისად 2 ნოემბერს ისინი საქართველოს ნაკრებს შეეცილებიან 2014 წლის 20-წლამდელთა მსოფლიო ალაფის საგზურს.

დავით ვართანიანი, საქართველოს 19-წლამდე მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– ფინალში გავედით! ეს ნებისმიერი მწვრთნელისათვის უდიდესი ბედნიერებაა. დიდ მადლობას ვუხდი ბიჭებს მოედანზე თავდაუზოგავი ბრძოლისათვის! თამაშით კმაყოფილი ვარ. მეოთხედფინალური მატჩის მსგავსად, ბიჭები სამწვრთნელო შტაბის დავალებას ბოლომდე ასრულებდნენ. მართალია პირველი ტაიმის ბოლოს ცოტათი ავირიეთ და მოწინააღმდეგეს ავყევით თამაშში, მაგრამ მეორე ნახევარში მდგომარეობა მალევე გამოვასწორეთ. ახლა მთავარია ბიჭებმა სრულფასოვნად აღიდგინონ ძალები. მეტოქე გუნდზე მინდა ვთქვა, რომ ბელგიის ნაკრები საკმაოდ კარგი გუნდია. გააზრებულად და პრაგმატულად თამაშობენ. მიუხედავად ამისა, ჩვენი ნაკრები ბევრად უფრო ორგანიზებული გუნდია და ბელგიის ნაკრებს ჩვენს სრულ პოტენციალს დავუპირისპირებთ ფინალში. წინ ფინალია და გავიმარჯვებთ!

ხელბურთელებმა შესარჩევი მარცხით დაიწყეს

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში 17:23 დამარცხდა ლიტვაში. თამაში თანაბარი პირველი ტაიმის დასაწყისში იყო, შემდეგ ლიტვა დაწინაურდა და ტაიმი 12:7 მოიგო. საქართველოს ნაკრებში თავი იჩინა შეუთამაშებლობის პრობლემამ – ნაკრები დიდი ხანია არ შეკრებილა.

მეორე ტაიმში მასპინძლები 10 ბურთით დაწინაურდნენ, მაგრამ ქართველებმა ბოლოში ექვსამდე შეამცირეს სხვაობა.

შემდეგი მატჩი, ფინეთის ნაკრებთან, გაიმართება თბილისის სპორტის სასახლეში, 3 ნოემბერს, 18 საათზე.

საქართველოს ნაკრებმა ლიტველებთამ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: თევზაძე, ჩიქოვანი (6 ბურთი), მსხვილიძე (4), რუსია (3), დათუკაშვილი (2), ჭანტურია (2), გვაზავა, გოგალაძე, ბერძენიშვილი, ტალახაძე, გამზარდია, ამირანაშვილი, აბრამიშვილი, ტორონჯაძე.

დრამატული და სენსაციური თასი

სპარტაკი – ტორპედო 2:2 (5:6პ)

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 თუხარელი (4), 1:1 კვეკვესკირი (20სკ), 2:1 შონია (66), 2:2 ახვლედიანი (79)

სპარტაკი: ნანიევი, ქურდაძე, მგელაძე, კილასონი (ბურძენაძე 77), მეგრელიშვილი, კვეკვესკირი, შონია, კაკაშვილი, ჩაფიძე, თუხარელი (თექთურმანიძე 82), მეტრეველი (ფანცხავა 90)

ტორპედო: მ.ქვილითაია, ცინცაძე, გიგაური, საბანაძე, კუხიანიძე (ახვლედიანი 46), ფანცულაია (ჭანტურია 84), ხიდეშელი, გაბაძე, კაპანაძე, ზ.ჭელიძე, უბილავა (გოროზია 60)

მერვედფინალური მატჩებიდან ყველაზე დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდს ჰქონდა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსიც და იმედიც, მაგრამ „სპარტაკი“ რომ ვერ გავიდა, საკუთარ თავს უნდა დაებრალოს. ცხინვალელები მატჩის მსვლელობისას ორჯერ დაწინაურდნენ და უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. პენალტების სერიაში ერთი ზუსტი დარტყმა აკლდათ საქმის მოსამთავრებლად და ვერც მაშინ ივარგეს.

მატჩის ანტიგმირი ნიკა კვეკვესკირი გახდა, რომელმაც ჯერ გოლი თავის კარში გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი, გადამწყვეტი პენალტი გააცუდა.

„ტორპედო“ ბურთს კი ფლობდა და მეტოქეზე დიდ ხანსაც აკონტროლებდა, მაგრამ მარტო მისი ფლობა დიდი ვერაფერი შვებაა, როდესაც მინიმუმ ორი ბურთი გაქვს გასატანი. რეალურ სახიფათო მომენტებს ქუთაისელები ვერ ქმნიდნენ და რომ არა მეტოქის უნიათობა, შემდეგ ეტაპზეც ვერ გავიდოდნენ.

მატჩი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ჩაფიძის ჩაწოდებულს საჯარიმოში თუხარელი დაუხვდა და ანგარიში გახსნა. მალევე შონიამ ვერ ივარგა და ბურთი კარს ააცილა.

მე-20 წუთზე, კვეკვესკირმა სრულიად უწყინარ სიტუაციაში ბურთი საკუთარ მეკარეს გადაუგზავნა, მაგრამ ეს ისე მოახერხა, რომ ნანიევმა ნახტომითაც ვერ იხსნა თავისიანები.

ამის შემდეგ პირველ ტაიმში მოედანზე ბევრი საინტერესო არაფერი მოხდარა. ერთადერთი გამოსარჩევი რაც იყო 42-ე წუთზე ნანიევის კარგი თამაშია, რომელმაც კაპანაძის დარტყმის შემდეგ გადაარჩინა თავისიენები.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ქვილითაიამ ბურთი ცუდად მოიგერია და პირდაპირ შონიას მიუვიდა, მაგრამ ცხინვალელმა საჩუქარი ვერ შეირგო.

შონია ეს შეცდომა 66-ე წუთზე გამოასწორა, როდესაც შორიდან უძლიერესად დაარტყა და ქვილითაიასგან „მარცხენა“ ცხრიანში ულამაზესი გოლი გაიტანა.

ანგარიშის გაზრდა ჩაფიძეს და მეტრეველს შეეძლოთ, მაგრამ ქვილითაია კარგად ირჯებოდა.

79-ე წუთზე, ნიკა ახვლედიანმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა და ნანიევის შეცდომის შემდეგ, თანაფარდობა აღსდგა.

დამატებულ დროში საინტერესო არაფერი მომხდარა და საქმე პენალტებამდე მივიდა, რომლებიც უფრო ზუსტად ქუთაისელებმა შეასრულეს. არადა, პენალტების სერიაშიც ცხინვალელები 4:2 დაწინაურდნენ და საბოლოოდ 5:6 წააგეს.

„ტორპედოდან“ შანსი გიგაურმა, ჭანტურიამ, ახვლედიანმა, ცინცაძემ, ხიდეშელმა და კაპანაძემ გამოიყენეს. ჭელიძემ ბურთი მიზანს ააცილა. „სპარტაკიდან“ თერთმეტმეტრიანები გაიტანეს: მგელაძემ, თექთურმანიძემ, ბურძენაძემ, ფანცხავამ და ქურდაძემ. ააცილეს: კვეკვესკირმა და ჩაფიძემ.

ვიტ ჯორჯია – შუქურა 2:1

მცხეთა. მცხეთა პარკი

1:0 ღიბრაძე (45), 2:0 ლობჟანიძე (93), 2:1 ბაჯელიძე (94)

ვიტ ჯორჯია: ჩალიგავა, მჭედლიშვილი, ადამაძე, კასრაძე, ჯავაშვილი, დავლაშელიძე, ღიბრაძე, კორიფაძე, ჯანელიძე, სიჭინავა (პავლიაშვილი 76), კუხალეიშვილი (ლობჟანიძე 61)

შუქურა: კაკალაძე, ტაკიძე, ბაჯელიძე, ბრაჭული, შეროზია, მამულაძე (ელიზბარაშვილი 63), ლობე, მაჭავარიანი, ტუღუში, ჩელებაძე, კოპალიანი (ცენტერაძე 66)

„შუქურა“ ერთადერთი პირველლიგელია, რომელიც თასის მეოთხედფინალში ითამაშებს.

მოვლენები აქაც დრამატულად განვითარდა: პირველი მატჩი ქობულეთელებმა 1:0 მოიგეს და ეს ანგარიში ვეტერინარებმა პირველი ტაიმის ბოლოს გაქვითეს. ყველა დამატებით დროს ელოდა, როდესაც ლობჟანიძემ მეორე გოლი გაიტანა და თითქოს „ვიტ ჯორჯიას“ მეოთხედფინალისკენ გზა გაეხსნა, მაგრამ მათი სიხარული წამები გაგრძელდა – „შუქურამ“ მსაჯის საფინალო სასტვენთან ერთად გაიტანა.

ზესტაფონი – სიონი 0:1

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

0:1 ბიგილეიშვილი (49)

ზესტაფონი: რ.კვასხვაძე, თორ.გრიგალაშვილი, თედ.გრიგალაშვილი, რენე ფერეირა, კანდელაკი, აჯურუ, შარიქაძე, ჭანტურიშვილი (კვერნაძე 62), სამუშია (სარდალიშვილი 62), კუტალია (რაჟამაშვილი 76), ს.ლომია

სიონი: მერლანი, აბრამიძე, უგრეხელიძე (თოთაძე 68), პარუნაშვილი, სვანიძე, იმედაშვილი, კახელიშვილი (ლობჟანიძე 81), ქემოკლიძე, გოგობერიშვილი, ფოფხაძე, ბიბილეიშვილი (აფციაური 70)

მწვრთნელშეცვლილმა „სიონმა“ მაინც მოახერხა გამარჯვება და თანაც იმავე ანგარიშით, როგორც პირველ მატჩში იმარჯვა. ერთადერთი გოლი ბიბილეიშვილის ანგარიშზეა.

დინამო (ბთ) – დილა 2:1

ქობულეთი. ჩელე არენა

0:1 აფხაზავა (9), 1:1 ბერიძე (70), 2:1 მუჯირი (90)

დინამო (ბთ): ალავიძე, ტეტუნაშვილი, თოდუა, ქორიძე, მუჯირი, გოგიტიძე (მანწკავა 46), ვარშანიძე, ჩირიკაშვილი (აბუსელიძე 46), ბერიძე, მაკარიანი (კვერენჩხილაძე 62), ჩიმაკაძე

დილა: რევიშვილი, ალადაშვილი, კვახაძე, ღონღაძე, გაფრინდაშვილი, აფხაზავა, მაისურაძე, დიასამიძე, გორელიშვილი (სადაღაშვილი 71), დოლიძე (გ.ქვილითაია 85), მოდებაძე

ბათუმელებმა ბოლომდე იბრძოლეს და მოიგეს კიდეც, მაგრამ ანგარიში სასურველი უფრო გორელებისთვის გამოდგა. „დილამ“ საშინაო მატჩი 1:0 მოიგო და სტუმრადაც დაწინაურდა. ზღვისპირელებს წარმატების მისაღწევად 3 ბურთი სჭირდებოდათ, მაგრამ მხოლოდ ორს დასჯერდნენ.

ტოლხეთი (ფ) – მეტალურგი 1:3

ფოთი. ფაზისი

1:0 გოგონაია (9პ), 1:1 კირკიტაძე (31), 1:2 სიხარულიძე (36), 1:3 ბერიაშვილი (73)

კოლხეთი: მაღრაძე, კილასონია, **გურია**: ბობღიაშვილი, შალამბერიძე, იობაშვილი, შუმეიკო, ჩიკვილაძე, კილაძე (დარჩიძე 70), ძამსაშვილი (ჯოჯუა 46), შენგელია (ჩაგელიშვილი), კოშკაძე, ჯიშკარიანი, ისიანი

ძნელად პროგნოზირებადი მატჩი იყო. მიუხედავად წაგებული პირველი მატჩისა, „გურია“ ისევ ინარჩუნებდა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს. ეს კი ჩიკვილაძის მიერ გატანილი გოლის სემდეგ უფრო გაიზარდა, მაგრამ მელიავამ ანგარიში გაათანაბრა და მეოტხედფინალში მარტვილელები გავიდნენ.

დინამო (თბ) – ტოლხეთი (ხ) 6:0

თბილისი. დინამო არენა

1:0 გველესიანი (15), 2:0 მიქაბერიძე (32), 3:0, 4:0, 5:0 ვუო (42, 52, 82), 6:0 ბოგა (90)

დინამო: მიგინეიშვილი, ხურცილავა, გლიშიჩი, პაპავა, ძარია (ლექვთაძე 46), შაშიაშვილი, გველესიანი, მიქაბერიძე, გრიგალაშვილი (ხმალაძე 64), დვალი (გოგა 65), ვუო

კოლხეთი: გელაშვილი, ფიფია, ბუცხრიკიძე (გაბრავა 60), გ.გოგენია (ლ.გოგენია 66), ცობეხია (ფირცხალავა 74), კ.გოგენია, ბუკია, პაჭკორია, მეფიშვილი, ქაშიბაძე, გერგაია

„დინამომ“ პირველი მატჩი 9:0 მოიგო და ახლა გულშემატკივრები იმაზე ფიქრობდნენ გაუმჯობესებდა თუ არა, გუნდი სტუმრად ნაჩვენებ შედეგს. მართალია, შედეგი არ გაუმჯობესდა, მაგრამ სხვაობა ამჯერადაც სოლიდური იყო. გამოსარჩევი პატრიკ ვუოს ჰეთ ტრიკია, რომელიც პირველია კოტდივუარელი ფეხბურთელისთვის საქართველოში.

ჩიხურა – ლოკომოტივი 4:0

ქუთაისი. ცენტრალური

1:0, 2:0 წინამძღვრიშვილი (27,37), 3:0 რეხვიაშვილი (64), 4:0 ჯიღაური (89)

ჩიხურა: სომხიშვილი (მწყერაშვილი 60), ჯიღაური, გ.რეხვიაშვილი, გაბედავა, ჩიკვაიძე, წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 75), ქიმაძე, ლომაშვილი, ბეჭვაია, კაშია, ოდიკაძე (დემეტრაშვილი 46)

ლოკომოტივი: თებიძე, ლ.რეხვიაშვილი, მაკასარაშვილი, მიქავა, ცნობილაძე, გურეშიძე (წივწივაძე 46), დუმბაძე, მესხი, ნიკვაშვილი, ა.რეხვიაშვილი (ღვინიაშვილი 75), თედიაშვილი (ბახტაძე 60)

იოლად იმარჯვა „ჩიხურამაც“. დუბლი წინამძღვრიშვილმა გაიფორმა, თითოჯერ კი რეხვიაშვილმა და ჯიღაურმა იხეირეს.

მოამზადა მანუელ ყორეოლიანმა

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

უიგანი-ქარ	0:0

ესპანეთი. პიმეჩა დივიზიონი

ვალენსია-ალმერია	1:2
ვალიადოლიდი-სოსიედადი	2:2
ოსასუნა-რაიო	3:1
რეალი-სევილია	7:3

საკუთნიო ცხრილი:

1.ბარსელონა	11	10	1	0	33-7	31
2.ატლეტიკო	10	9	0	1	26-7	27
3.რეალი	11	8	1	2	27-14	25
4.ვილიარეალი	10	6	2	2	19-10	20
5.ბილბაო	10	6	1	3	16-13	19
6.ხეტაფე	10	5	1	4	14-12	16
7.ლევანტე	10	4	4	2	12-14	16
8.ესპანიოლი	11	4	3	4	12-14	15
9.სოსიედადი	11	3	5	3	13-12	14
10.სევილია	11	3	4	4	20-24	13
11.ვალენსია	11	4	1	6	14-19	13
12.ელჩე	10	3	3	4	10-13	12
13.ვალიადოლიდი	11	2	5	4	14-17	11
14.გრანადა	10	3	2	5	6-10	11
15.მალაგა	11	2	4	5	11-14	10
16.ოსასუნა	11	3	1	7	10-16	10
17.სელტა	11	2	3	6	13-16	9
18.რაიო	11	3	0	8	8-27	9
19.ბეტისი	10	2	2	6	9-17	8
20.ალმერია	11	1	3	7	13-24	6

იტალია. სერია ა

ვერონა-სამპდორია	2:0
ჯენოა-პარმა	1:0
კალიარი-ბოლონია	0:3
ლივორნო-ტორინო	3:3
მილანი-ლაციო	1:1
სასუოლო-უდინეზე	1:2
ფიორენტინა-ნაპოლი	1:2
იუვენტუსი-კატანია	4:0

საკუთნიო ცხრილი:

1.რომა	9	9	0	0	23-1	27
2.ნაპოლი	10	8	1	1	22-7	25
3.იუვენტუსი	10	8	1	1	22-10	25
4.ინტერი	10	5	4	1	24-12	19
5.ვერონა	10	6	1	3	20-16	19
6.ფიორენტინა	10	5	3	2	20-13	18
7.ლაციო	10	4	3	3	15-13	15
8.უდინეზე	10	4	1	5	11-11	13
9.ატალანტა	10	4	1	5	12-13	13
10.მილანი	10	3	3	4	17-17	12
11.პარმა	10	3	3	4	16-18	12
12.ტორინო	10	2	5	3	16-18	11
13.ჯენოა	10	3	2	5	9-14	11
14.კალიარი	10	2	4	4	10-17	10
15.ლივორნო	10	2	3	5	12-16	9
16.სამპდორია	10	2	3	5	9-16	9
17.ბოლონია	10	2	3	5	13-22	9
18.კატანია	10	1	3	6	6-17	6
19.სასუოლო	10	1	3	6	8-24	6
20.კიევო	9	1	1	7	7-17	4

საფრანგეთი. თასი

გენგამი-ევიანი	1:2
სოშო-მონპელიე	2:1(დდ)
რეიმსი-მონაკო	1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

არაუ-სტ.გალენი	2:2
გრასჰოპერსი-ციურიხი	3:1

ბელგია. პროლიგა

ლეუვენი-მონსი	2:2
გენკი-კორტრაიკი	1:0
ვარეგემი-გენტი	3:2
ლოკერენი-ლიერსი	1:0
ოსტენდე-ანდერლეხტი	0:3
შარლერუა-მეხელენი	2:2

პოლონეთი. ექსტრაკლასი

ზაგლებიე-ლეჩნა	1:3
კორონა-რუხი	1:4
ზავიშა-ლეგია	3:1

აშშ. მლს

პლეი ოფი

სიეტლი-კოლორადო	2:0

უცნობი არქივი ხელოვნების სასახლეშია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში პირველ ნოემბერს პაულ(ა) შტერნის უცნობი არქივი გამოიფინება, რომლის კურატორი ირინა ქურთიშვილია (კიოლნი-თბილისი).

– გამოფენა პირველ ნოემბერს გაიხსნება და მას წარმოადგენენ გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. პროექტს საფუძვლად უდევს XIX საუკუნის თბილისში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაშენებული გერმანული დასახლების „თბილისის კოლონიის“ ისტორია. პროექტის მიზანია ამ დასახლების არქიტექტურული ძეგლების, მათთან დაკავშირებული ისტორიების მოპოვება და მათი წარდგენა საზოგადოების წინაშე. ეს შენობები – მათი ერთი ნაწილი მოქმედი საზოგადოებრივი ნაგებობებია – ქალაქის იერსახის, მისი იდენტობის ნაწილია და არ უნდა დაექვემდებაროს მივიწყებას, მით უმეტეს, როცა მათი შექმნის ისტორია უშუალოდ ევროპული კულტურის ფასეულობებს ემყარება. ყოფილი „გრაფ ოლდენბურგის სასახლე“ 1895 წელს აშენდა. მოგვიანებით აქ „სათეატრო მუზეუმი“ იხსნება, რომელიც დღეს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმია. თავად შენობის ისტორია XX საუკუნის დასაწყისის ეპოქასთან მჭიდრო კავშირშია იმდენად, რამდენადაც ეს ეპოქა გერმანიას, საქართველოს და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობების განახლების პერიოდია. „გრაფ ოლდენბურგის სასახლის“ პირველი დამკვეთი, დიდგვაროვანი ავსტრიელი ქალბატონი, ვინმე ემილია ტიტელი უნდა იყოს. ცნობილია, რომ ეს სასახლე გერმანელი ოლდენბურგების შთამომავალმა, გრაფმა კონსტანტინე ოლდენბურგმა თავისი შეყვარებულისათვის, აგრაფინა ჯაფარიძე-დადიანისათვის შეიძინა, რომელთანაც შემდგომში იქორწინა. იმ ფაქტს, რომ გრაფი ოლდენბურგი მეუღლესთან და შვილებთან ერთად აქ სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა, მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია ადასტურებს. ამ ნეოგოთიკური შენობის ავტორი თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორი (წარმომავლობით ებრაელი) პაულ შტერნია, რომლის ერთ დროს საკუთარი სახლი დღესაც დგას აღმაშენებლის გამზირზე. პაულ შტერნი იმ ადამიანებს განეკუთვნება, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის კულტურულ სივრცეში დამკვიდრებას ცდილობდნენ. მისი თბილისში მოღვაწეობა 1870-იანი წლებიდან იწყება, როცა ის ოპერის მშენებლობის ხელმძღვანელი ხდება. შტერნის დაბადება-გარდაცვალების წლები უცნობია, არ არსებობს ცნობები მის ცხოვრებაზე, თუმცა იგი თბილისში ისეთი ცნობილი შენობების ავტორად გვევლინება, როგორიცაა ქალაქის საკრებულო თავისუფლების მოედანზე და აბრეშუმის მუზეუმი „მუშტაიდის“ ბაღთან, – განაცხადა გოეთეს ინსტიტუტის კულტურული განყოფილების წარმომადგენელმა თამთა გოჩიტაშვილმა.

მისივე თქმით, პაულ შტერნის ოჯახის აქამდე უცნობი კორესპონდენცია, რომელიც 72 საფოსტო ბარათს მოიცავს და 1899-1908 წლებით თარიღდება ამ ცოტა ხნის წინ მისი შთამომავლების სურვილით და არქიტექტურის ისტორიკოსის, დოქტორ მაია მანიასხელშეწყობით მუზეუმს გადაეცა. პაულ(ა) შტერნის არქივი თავის მხრივ სერიოზულ კვლევასა და შესწავლას საჭიროებს, არა მარტო ოჯახის გენეალოგიის დადგენის თვალსაზრისით.

– წინამდებარე გამოფენა მცდელობაა იმ ეპოქის თბილისში მცხოვრები უცხოელი თანამოქალაქეების ამაღელვებელ და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებასთან მიახლოებისა, რაც კლასიკური ლაბირინთის პრინციპზე შექმნილ ინსტალაციაში აისახება. სიმბოლურია რომ, ეს უნიკალური არქივი პირველად სწორედ შტერნისეული შენობის ისტორიულ სივრცეში იფინება, რაც თავისთავად განუმეორებელი ფონია ასეთი ინსცენირებისათვის, – განმარტა თამთა გოჩიტაშვილმა.

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში გამოფენა 30 ნოემბრამდე გაგრძელდება.

დავით შემოქმედელი: „პრეზიდენტის რეზიდენციაში რუსთაველის მუზეუმი განვათავსოთ“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ში, ისტორიაში, კოსმოსში, ამაზე კვლევებიც კი ჩატარებული. დასავლეთში ყოველთვის იყო ნოსტალგია აღმოსავლეთის მოაზროვნეების მიმართ და ამიტომ ეს შანსი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, დღეს ბევრი ეგზოთერული ცოდნა დაკარგულია. რუსთაველზე არ უნდა ვთქვათ დიდი პოეტიაო, იგი ამავე დროს არის უდიდესი მოაზროვნე, დიდი ფილოსოფოსი და მეცნიერი. ამ მხრივ დასავლეთი უცბად დაინტერესდება. ჩვენ რუსთაველის გენიალურობა ყველანაირად უნდა წამოვწიოთ წინ და მის შემოქმედებას გავუწიოთ საკადრისი პოპულარიზაცია.

– თქვენი საზოგადოება რა მიმართულებით მუშაობს?

– რუსთაველის საზოგადოება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს აწყობს და არც გამოჩენილი და ღვაწლმოსილი ადამიანების იუბილეებს ივიწყებს. ჩვენმა საზოგადოებამ რამდენიმე დღის წინ მწერალთა სახლში აღნიშნა ცნობილი მეცნიერისა და ლიტერატორის, ორიენტალისტის, ანუ აღმოსავლეთმცოდნის და მთარგმნელის ზურაბ კიკნაძის 80 წელი. მისი დამსახურება უდიდესია, რადგან მან პირველად შეისწავლა შუმეროლოგია ძალიან მაღალ დონეზე, როგორც ლიტერატურული მხარე, ასევე რელიგიური მხარე და ასევე მითოლოგიური მხარე. თარგმნა „ჰომეროსი“ თამარ ჩხენკელთან ერთად და უმნიშვნელოვანესი მსოფლიო ლიტერატურის რელიგიური და ფილოსოფიური წიგნები. ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას და არის უნივერსიტეტის პედაგოგი და აღმზრდელი. წელს მიენიჭა ლიტერატურული პრემია „საბა“ ქართულ მეცნიერებასა და ლიტერატურაში შეტანილი წვლილისთვის. ამ საღამოს ესწრებოდნენ მეცნიერები, მწერლები და მისი მოღვაწეობის დამფასებლები. ისეთი მნიშვნელოვანი იყო ეს შეხვედრა, რომ ყველა აღტაცებული და კმაყოფილი დარჩა.

– ასეთ საღამოებს ხშირად აწყობთ?

– რუსთაველის საზოგადოება ყოველთვის ცდილობს სწორება გააკეთოს ქართულ ლიტერატურაზე და სულიერ სიმდიდრეზე. ჩვენმა საზოგადოებამ ჩაატარა საღამო კათარზისშიც. იქ ვიმყოფებოდით ჩვენი საზოგადოების წევრები. ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ კათარზისის წევრები, მათ შორის რამდენიმე ნიჭიერშიც მონაწილეობდა.

– თქვენი ინიციატივით ესტუმრეთ მოხუცებს?

– კი, ჩვენი საზოგადოების ინიციატივით ვესტუმრეთ კათარზისის ბინადრებს. ფოლკლორული მომღერალიც გვახლდა, ლექსები წავიკითხეთ, ვიმღერეთ და ძალიან ემოციური საღამო გვქონდა. ვცდილობდით იუმორითაც გაგვემხნევებინა ისინი, მათაც საკმაოდ კარგი იუმორი აღმოაჩნდათ. ჩემი ლექსებიდანაც წავუკითხე ნაწყვეტები „სიყვარული თუ შეგიძლია არ დაბერდები“, „ვიდრე სულში სიყვარულის ხანძარია, არ იქნება ბატონებო სიბერე“, ეს სიტყვები ძალიან ესიამოვნათ. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ჩვენ ამ მოხუცებს ვესტუმრეთ, მათთან ადრეც ვყოფილვართ.

– კიდევ რა მიმართულებით მუშაობს თქვენი საზოგადოება?

– ყველა იმ მიმართულებაში ვართ ჩართული, რომელიც ქართულ ლიტერატურას ეხება. მოგეხსენებათ სოფელ შემოქმედიდან ვარ წარმოშობით და ჩემს მშობლიურ რაიონში გაზეთ „ალიონს“ შეუსრულდა 100 წელი, მეათიათასე ნომერი გამოუშვეს და ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად ჩავატარეთ ამ დღისადმი მიძღვნილი გამოფენა და საიუბილეო საღამო. ღონისძიება საჯარო ბიბლიოთეკის ცენტრალურ დარბაზში გაიმართა და მას ესწრებოდნენ მაჟორიტარი დეპუტატი და რაიონის ხელმძღვანელი. საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე ძალიან კარგ და საჭირო საქმეებს აკეთებს როგორც საბიბლიოთეკო, ასევე კულტურულ საქმიანობაში. ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ ყველაფერი მომზადებულია და გავაფორმებთ მემორანდუმს რუსთაველის საზოგადოება და ეროვნული ბიბლიოთეკა, რომ ერთობლივად სხვადასხვა ღონისძიებები განვახორციელოთ. ეს შეიძლება იყოს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

– საქართველოს რეგიონებს ხშირად სტუმრობთ?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ყველგან ვართ, სადაც ქართულ ფასეულობაზეა საუბარი. ვესწრებოდით ოზურგეთში გამართულ ექვთიმეობას, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლის იუბილეს მიეძღვნა. იქ იყვნენ ქართული კულტურის კორიფეები ანზორ ერქომაიშვილი, ჯემალ ჭკუასელი, ჯემალ ღაღანიძე, ეთერ კაკულია. ეს არის ჩემი მშობლიური რაიონი და ძალიან კარგ დონეზე იყო გაკეთებული ყველაფერი მესხეთობისგან განსხვავებით, ის იყო რაღაც საშინელი კოშმარი. ოზურგეთის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა, რომ ექვთიმე ღვთისკაცი ღირსეულად ყოფილიყო წარმოჩენილი და დაფასებული. ხელმძღვანელობა ახალია და ვუსურვებ, რომ ბოლომდე ასე გაეგრძელებინათ. ოზურგეთში ასევე ჩატარდა იქაური მხატვრის საღამო, რომელსაც გაუხსნეს ოქროს პალიტრა. რაიონში პატივს რომ მიაგებენ ადამიანს, რომელსაც დიდი ღვაწლი აქვს თავისი მშობლიური რაიონისთვის, ეს ნამდვილად მისასალმებელია.

– როგორია რუსთაველის საზოგადოების სამომავლო გეგმები?

– ძალიან გვინდა რაიონებში გვქონდეს გასვლები და შევხვდეთ ლიტერატურის მოყვარულებს როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე სხვადასხვა დარბაზებში, ჩავიყვანთ მწერლებს და ვისაუბრებთ ლიტერატურაზე. დიდი სურვილი გვაქვს მოვიცვათ მთელი საქართველო.

არ დალაგდა სიტუაცია თორემ, გვინდა თბილისში საქართველოს რეგიონების კულტურის დღეები მოვაწყოთ, მაგალითად ქუთაისის კულტურის დღეები ჩავატაროთ დედაქალაქში, მერე თელავის კულტურის დღეები, ბათუმის კულტურის დღეები და ა.შ. შემდეგ უკვე თბილისის კულტურა ჩავა საქართველოს რეგიონებში და მოხდება დედაქალაქისა და რეგიონების კიდევ უფრო დაახლოვება. ჩვენს შვილებს აუცილებლად უნდა გავუღვივოთ ინტერესი ეროვნული ღირებულებებისა და კულტურის მიმართ, თორემ ძალიან საგანგაშო მდგომარეობაა. ქვეყანაში პრიორიტეტულია მეორადი კულტურა, ვბაძავთ დასავლეთ, მაგრამ ვბაძავთ დასავლეთის ქუჩურ კულტურას, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვბაძავთ სტეინბეკის, ბალზაკის, ჰემინგუეის კულტურას, თუნდაც თანამედროვე დასავლური მწერლობა ავიღოთ, მსოფლიოში საკმაოდ საინტერესო თანამედროვე კულტურაა და არ მესმის, რატომ გვხიბლავს მხოლოდ ქუჩური ამერიკა და ქუჩური დასავლეთი.

სამხატვრო აკადემიაში ირანელი მხატვრის გამოფენაა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის მოდის დიზაინის მიმართულებამ სადიპლომო ნამუშევრების დაცვა თბილისი ივენთ ჰოლში წარმოადგინა. ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისის ივენთ ჰოლი და სამოდელო სააგენტო „ნატალი“.

– ახალი ხედვა, ახალი ტექნიკა და თანამედროვე დიზაინი – დეფილეზე წარმოდგენილი იყო 4 სპეციალობის სადიპლომო ნამუშევრების 28 სტუდენტის მინი კოლექციები, რომელმაც უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა მოდის დიზაინის სპეციალისტებისგან. თითოეული სტუდენტი წარმოადგენდა ვიდეო არტს. ჩვენების მთავარ მიზანს მოიცავდა, რომ მომხდარიყო იმის დემონსტრირება, თუ რა ისწავლება სამხატვრო აკადემიაში, როგორ არის სწავლის ხარისხი სინთეზირებული თანამედროვე გამოწვევებთან. ჩვენებაზე წარმოდგენილ იქნა მოდის ახალი თანამედროვე ხედვა, ასევე მუშაობის ახალი ტექნიკა, რაც სიახლეა თანამედროვე მოდაში. საღამოს ესწრებოდნენ ბრიტანეთის ელჩი, თბილისის მოდის კვირეულის, ხელოვნების ფესტივალის, თეატრალური უნივერსიტეტის და კონსერვატორიის წარმომადგენლები. ასევე სტუმრები სამინისტროებიდან, საელჩოებიდან და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან.

ნათია გაბისონიამ თავისი ნამუშევრები სამხატვრო აკადემიის დიდ საგამოფენო დარბაზში გამოფინა, სადაც წარმოდგენილი იყო 14 დაწერილი ხატი და ერთი ფერწერული ტილო – უწმინდესის და უნტეტარესის ილია მეორის პორტრეტი.

გერმანიის ტრიერის სამხატვრო აკადემიის პროფესორმა ანა ბულანდა პანტალიჩმა და ჯენიფერ ძიტკემა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან მემორანდუმი გააფორმეს.

– გერმანიის სამხატვრო აკადემიასთან გაფორმებული მემორანდუმი არის შანსი, ხელოვნების სფეროში მოღვაწე ქართველი სტუდენტებისთვის და პედაგოგებისთვის, აიმაღლონ კვალიფიკაცია და გაეცნონ ევროპული სწავლების მეთოდს და ევროპულ სიახლეებს თანამედროვე ხელოვნებაში. მემორანდუმის გაფორმებისას გერმანიის სამხატვრო წარმომადგენლების მხრიდან ასევე წარმოდგენილ იქნა ტრანსატლანტიკური პროექტის პრეზენტაცია და არსებული პრაქტიკის გაზიარება. მემორანდუმის გაფორმებას ესწრებოდნენ სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორები, გერმანიის სახელმწიფოს წარმომადგენლობა და გერმანიის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, – აღნიშნა ნათია პავლიაშვილმა.

მემორანდუმი გაფორმდა ასოციაცია „ინტერ არტ ჯორჯია“-სთანაც, რომელიც საერთაშორისო ხელოვნებისა და კულტურის ცენტრია. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით სამხატვრო აკადემია და „ინტერ არტ ჯორჯია“ მომავალში არაერთი ერთობლივი ღონისძიების განხორციელებას გეგმავენ.

ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრმა აკადემიაში გამოფენა-კონკურსი მოაწყო, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სამხატვრო აკადემიის სახვითი ფაკულტეტის გრაფიკის მიმართულების პლაკატისა და ანიმაციის სახელოსნოების სტუდენტები.

26-მა მხატვარმა კი გამოფინა თავისი ნამუშევრები, რომელიც ახალი სიტყვაა ხელოვნებაში.

– ეს იყო 4 წლიანი შრომის შედეგი და საუკეთესო ნამუშევრები, ცოდნის ტრანსფორმაცია ტილოზე, განსხვავებული ხედვა, 26 მხატვრის თვალით დანახული თანამედროვე ხელოვნება, – განმარტა აკადემიის წარმომადგენელმა.

სამხატვრო აკადემიამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც ბათუმის მერიამ განახორციელა.

– ფესტივალის ფარგლებში დაიგეგმა ფართო საგამოფენო სივრცეებში სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმის გამოფენა-გაყიდვები, მოდის ჩვენების ორგანიზება, მასტერ-კლასები, ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრები, ქართველ და უცხოელთა შემოქმედებით წრეებს შორის ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობა. სამხატვრო აკადემიის მხრიდან არტ-პროექტს ხელმძღვანელობდა ნინო მგალობლიშვილი (ასოცირებული პროფესორი), სამხატვრო აკადემიის არტ-პროექტის ორგანიზატორები იყვნენ დავით ალექსიძე (სრული პროფესორი), თამაზ ვარვარიძე (სრული პროფესორი), მაკა ბახტაძე (სრული პროფესორი), ნინო მგალობლიშვილი (ასოცირებული პროფესორი), ნინო ქვრივიშვილი (პედაგოგი). ფესტივალში მონაწილეობდნენ სამხატვრო აკადემიის სახვითი და ვიზუალური ხელოვნების ფაკულტეტის ფერწერისა და გრაფიკის მიმართულებების, დიზაინის ფაკულტეტის ტექსტილისა და მოდის მიმართულებების პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, – განაცხადა ნათია პავლიაშვილმა.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ამერიკელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ყავის მოსადუღებელი ჭურჭელი; 3. მწერის განვითარების ბოლო სტადია; 4. დროსტარება, ქეიფი; 5. ვაჭართა წოდებრივი თანრიგი ქონების რაოდენობის მიხედვით ძველად; 6. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 8. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ადამიანის პირისახე, სახის გამომეტყველება; 11. ლუდსახარში საქართველოში; 14. გარეული ცხოველის სადგომი; 15. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 16. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

თარაზულად: 1. ქართული მინერალური წყალი; 4. მეტყველების ნაკლის მკურნალი სპეციალისტი; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 9. საწვავად, სასუქად გამოყენებული ჭაობის მცენარეთა ლპობის შედეგად წარმოქმნილი მკვრივი მასა; 12. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 13. ველორიქშა ინდოეთში; 14. პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ფსევდონიმი; 17. კომბინაცია პოკერში; 18. რთული ცილა, სისხლის წითელი პიგმენტი; 19. ბუდისტთა წმინდა ქალაქი ტიბეტში; 20. მონასტერი ახალციხის რაიონში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თორი; 2. ალალი; 3. ტუაზი; 5. გერანი; 6. კიმიგაიო; 9. კონსილიუმი; 10. ბალახვანი; 11. სეგიდელია; 14. ბზა; 16. გვრინი; 18. უშბა.

თარაზულად: 1. თავადი; 4. ნეგრესკო; 7. ხანუმა; 8. ზინდანი; 12. უნცია; 13. ობლიგო; 15. კაბელი; 17. სია; 19. ჩოლოყაშვილი; 20. რიალი; 21. სალათი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხანუმა; 2. დროსელი; 3. ქრისტინე; 4. ილინოისი; 8. მორჩილაძე; 9. დირიჟაბლი; 11. ჭორვილა; 12. ჩოხა; 14. ბრნო; 16. დრაიზერი; 17. საქაროზა; 19. ქართლი; 21. ბადრო.

თარაზულად: 5. ერისიონი; 6. ბოტიჩელი; 7. შემოქმედი; 10. კიმონო; 13. კორუსი; 15. ჩხავერი; 18. არმაზი; 20. ქალაქი; 22. შარლემანი; 23. კრისტალი; 24. პროგნოზი.

შალვა ფიფია საქართველოში ნიდერლანდების ელჩს შეხვდა

სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია გუშინ, საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს ელჩს ჰანს ჰორბახს შეხვდა. შეხვედრას ასევე მინისტრის პირველი მოადგილე დავით შერვაშიძე ესწრებოდა. შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის სისტემაში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე ისაუბრეს, ასევე, ამ სფეროში სამომავლო პრიორიტეტები და გეგმებიც განიხილეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მხარეებმა ურთიერთანამშრომლობის სურვილიც გამოთქვეს.

ნიუსპრესი

ექსპერტიზის ბიუროს სომხეთის დელეგაცია სტუმრობდა

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სომხეთის საექსპერტო დაწესებულების წარმომადგენლები ესტუმრნენ. უცხოელი სტუმრების ვიზიტის მიზანი ბიუროს ყოველდღიური საქმიანობის გაცნობა იყო.

ხუთკაციანი დელეგაცია ექსპერტიზის ბიუროს ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსს, ნინო ყოჩიაშვილს შეხვდა. დელეგაციამ ბიუროს თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი ლაბორატორიები დაათვალიერა. დნმ ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ნინო ყოჩიაშვილმა სპეციალურად უცხოელი კოლეგებისათვის, მემორანდუმის ფარგლებში ორდღიანი ტრენინგი ჩაატარა. ტრენინგკურსის მთავარი თემა დნმ ექსპერტიზისთვის ნიმუშების აღებისა და კონტამინაციის პრევენციის საკითხები იყო.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და სომხეთის საექსპერტო დაწესებულებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 2013 წლის მარტის თვეში გაფორმდა. სამომავლოდ , ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გენეტიკური საექსპერტო კვლევის ჩატარება სომხეთის მხარის მიერ წარმოდგენილ დნმ ნიმუშებზე იგეგმება.

ნიუსპრესი

კომიტეტის სხდომაზე სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები განიხილეს

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მთავრობის ინიციატივით პარლამენტში წარდგენილი ცვლილები გუშინ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. ცვლილების მიხედვით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შესაბამისობაში უნდა იყოს „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-12 მუხლის მოთხოვნასთან.

კანონპროექტის მიხედვით, თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, მისი დაკითხვისას შეიძლება, გაკეთდეს აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომელიც შემდგომ სასამართლოში მტკიცებულების სახით გამოიყენება, სასამართლო სხდომაზე არასრულწლოვანის მიერ მიცემული ჩვენების აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის მოსმენის გზით. ასევე არასრულწლოვანის დაკითხვა კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის თანდასწრებით ტარდება.

კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ კოდექსში შესატან ცვლილებებზე მსჯელობისას, სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით დეპუტატებს საკუთარი მოსაზრება გააცნო.

მისი თქმით, სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა ისე უნდა დადგინდეს, რომ ცალკეული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს სასჯელის ვადის განსაზღვრის დროს ლავირების საშუალება მიეცეს.

კომიტეტმა შეხვედრაზე, მხარი დაუჭირა თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებას „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში „ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ერთჯერადი ხასიათის დროებითი და სახით ადმინისტრაციული სახდელისგან გაათავისუფლებს იმ ფიზიკურ პირებს, რომელთაც „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 166-ე და 173-ე მუხლებით, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 85-ე მუხლით და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 212-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრათ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე.

ეკა ბესელიამ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზეც ისაუბრა და განმარტა, რომ მოსამართლეების გამოსაცდელი ვადით დანიშვნის პრაქტიკა ბევრ ქვეყანაში არსებობს.

„ვიდრე უვადოდ დაინიშნებოდეს, ლატვიაში მოსამართლე ინიშნება 3 წლის ვადით, გერმანიაში – 5 წლის ვადით, უნგრეთში 3 წლის ვადით. ესტონეთში მოსამართლის დათხოვნა შესაძლებელია დანიშვნიდან 3 წლის, ხოლო ავსტრიაში – 2 წლის განმავლობაში, რაც თავისთავად გამოსაცდელი ვადის არსებობაზე მიუთითებს“-განაცხადა ბესელიამ.

ნიუსპრესი

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე გიორგი კობეშავიძე, შვილები ირაკლი და ილია, მაზლი მიხეილ კობეშავიძე, მულიშვილები თინა და მარინა დავითაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნანა კობეშავიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 1 ნოემბერს.

დაკრძალვა: შაბათს, 2 ნოემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, II კვარტალი, II კორპუსი, I სადარბაზო, VII სართული.

ხობის №1 საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

გონერი ვაღაქარიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

სირიამ ქიმიური იარაღის მწარმოებელი ყველა ქარხანა გაანადგურა



სირიამ ქიმიური იარაღის მწარმოებელი ყველა ქარხანა გაანადგურა. ამის შესახებ ქიმიური იარაღის ამკრძალავი ორგანიზაცია იუწყება.

ორგანიზაციის განცხადებით, ქიმიური იარაღის განადგურება დათქმულ ვადებში მოხდა. ექსპერტთა თქმით, სირიის ტერიტორიაზე არსებული ქიმიური იარაღის 23 ობიექტიდან 21-ის შემოწმება მოხდა, დარჩენილი ორი ობიექტი კი უსაფრთხოების ზომების არარსებობის გამო ვერ შემოწმდა. სირიაში ქიმიური იარაღის სრული განადგურება 2014 წლის შუა პერიოდამდე უნდა მოხდეს.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ დამასკომ სირიაში არსებული ქიმიური იარაღის განადგურების პირობა დადო. ამას კი წინ 21 აგვისტო უძღოდა, როდესაც დამასკოსთან ახლოს ქიმიური იარაღის გამოყენებას 1400 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ქალები და ბავშვები.

ამ ფონზე, „როიტერი“ დასავლელ და არაბ მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით წერს, რომ სირიის შესახებ სამშვიდობო მოლაპარაკება, რომელიც ნოემბერში ჟენევაში უნდა გამართულიყო, შესაძლოა, კიდევ გადაიდოს, რისი მიზეზიც ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის უთანხმოებაა. როგორც ცნობილია, ამერიკა და რუსეთი ამ კონფერენციის ორგანიზატორები არიან.

„როიტერის“ ცნობით, მოსკოვი და ვაშინგტონი კონფერენციაზე ოპოზიციის დასწრების შესახებ ვერ თანხმდებიან. კონფერენციას დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი „სირიის ეროვნული კოალიცია“ უნდა დაესწროს. თუმცა, რუსეთი აცხადებს, რომ ეს ჯგუფი სირიის ოპოზიციის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს და შეხვედრას სხვა დელეგაციებიც უნდა დაესწრონ.

აღნიშნულთან დაკავშირებით ამერიკისა და რუსეთის ელჩები ჟენევაში მომდევნო სამშაბათს გამართავენ შეხვედრას.

სირიის ოპოზიციურმა ქაოდრი ჯამილმა კი, რომელიც ცოტა ხნის წინ ამერიკელ დიპლომატ რობერტ ფორდს შეხვდა, განაცხადა, რომ, მისი აზრით, კონფერენცია 23 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე გაიმართება.

გაეროს გენასამბლეამ კუბის წინააღმდეგ სანქციების გაუქმების რეზოლუციას მისცა ხმა

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ კუბის წინააღმდეგ სანქციების გაუქმების რეზოლუციას მისცა ხმა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მხოლოდ ორმა ქვეყანამ 200-დან, აშშ-მ და ისრაელმა წინააღმდეგ მისცა ხმა.

პალაუმ, მიკრონეზიამ და მარშალის კუნძულებმა თავი შეიკავეს.

აშშ-ის ემბარგო კუბის წინააღმდეგ 1962 წელს დაწესდა.

გენერალური ასამბლეა ბლოკადის გაუქმების შესახებ რეზოლუციებს უკვე 22 წელია იღებს.

კუბა აცხადებს, რომ ამერიკული სანქციები ადამიანის უფლებებს არღვევს და ისინი ეკონომიკას ტრილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა.

აშშ ამ პოლიტიკით ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების ჩატარების მიღწევას ცდილობს.

კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრუნო როდრიგესმა განაცხადა, რომ კუბა „ზესახელმწიფოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენს“. მისივე თქმით, დღემდე ემბარგო კუბის ეკონომიკას 1 ტრილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა.

ტიმოშენკოს პატიმრობამ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება შესაძლოა 1 წლით გადაწიოს

ვილნიუსის სამიტზე შესაძლოა უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა გადაიდოს. ამის მიზეზი უკრაინის ექსპრემიერი იულია ტიმოშენკოა, რომელსაც ევროპა პოლიტპატიმრად მიიჩნევს. როგორც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიადოსლავ სიკორსკიმ განაცხადა, უკრაინამ ასოცირების ხელშეკრულებაზე შესაძლოა 2014 საქართველოსთან და მოლდოვასთან ერთად მოაწეროს ხელი.

სიკორსკიმ აღნიშნა, რომ ხელმოწერის გადატანის მთავარი მიზეზი შესაძლოა იულია ტიმოშენკო გახდეს. მისი თქმით, ექს-პრემიერის საქმე არ უნდა გაიწელოს ვილნიუსის სამიტამდე.

ცოტა ხნის წინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ტიმოშენკოს შესაძლოა გერმანიაში გაეგრძელებინა მკურნალობა. შემდეგ მისმა ადვოკატმა ეს ინფორმაცია დაადასტურა, ხოლო უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ტიმოშენკოს საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდებოდა.

თავად ტიმოშენკომ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ თანახმაა, იანუკოვიჩისაგან შეწყალება მიიღოს.

შეგახსენებთ, რომ ნოემბრის ვილნიუსის სამიტზე დაგეგმილია უკრაინასთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერა, ხოლო საქართველო და მოლდოვა ამ შეთანხმების პარაფირებას (ხელმოწერის წინასწარი დადასტურება) მოახდენენ.

ევროკავშირი საქართველოსთან და მოდლოვასთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას 2014 წელს მოაწერს ხელს.

„ევროკავშირი კიდევ ერთხელ აღიარებს აღმოსავლეთის პარტნიორი ექვსი ქვეყნის „ევროპულ მისწრაფებას“, – ნათქვამია რეზოლუციის ტექსტში, რომელსაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ლიდერები მიიღებენ ვილნიუსის სამიტზე. როგორც რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი რიკარდ იოზვიაკი იუწყება ბრიუსელიდან, ჩანაწერი სიტყვასიტყვით იმეორებს 2011 წლის ვარშავის რეზოლუციას, მაშინ როცა ევროკავშირის გაფართოების მომხრე ქვეყნები უფრო ძლიერ რედაქციას – „ევროპული პერსპექტივას“ უჭერდნენ მხარს. ასეთი ჩანაწერი, რაც აღმოსავლეთ ბალკანეთის შემთხვევაში უკვე არსებობს, წარმოადგენს მძლავრ პირობას, რომ აღმოსავლეთის პარტნიორი ქვეყნები მომავალში აუცილებლად გახდებიან ევროკავშირის წევრები. ევროკავშირის დიპლომატები და პარტნიორი ქვეყნების – სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდავეთისა და უკრაინის დიპლომატები აგრძელებენ მუშაობას საბოლოო ტექსტზე, რომელსაც ნოემბრის შუა რიცხვებში თავდაპირველად ევროკავშირის ელჩები განიხილავენ და შემდეგ ევროკავშირის წევრის სახელმწიფოების ლიდერები 28-29 ნოემბრის ვილნიუსის სამიტზე.

ინდონეზიაში ხელფასების მოთხოვნით მასობრივი გაფიცვა დაიწყო

ინდონეზიაში ორდღიანი მასობრივი გაფიცვა დაიწყო. გაფიცვაში ასობით ათასი მუშა-მოსამსახურე მონაწილეობს.

გაფიცულები საყოველთაო გაძვირების ფონზე ხელფასების ზრდას ითხოვენ.

ბოლო წლებში ინდონეზიის ეკონომიკა იზრდება და მოგებიდან გადასახადიც დიდია.

პროფკავშირების ძირითადი მოთხოვნა მინიმალური ხელფასის 50%-ით გაზრდაა, რათა გაზრდილი ინფლაციისა და საწვავზე მომატებული ფასის კომპენსირება მოხდეს.

მინიმალური ხელფასი ინდონეზიაში რაიონებსა და ეკონომიკის სექტორებზეა დამოკიდებული. ხელფასის საშუალო დონე ჩინეთსა და ინდოეთზე მნიშვნელოვნად დაბალია.

უკანასკნელ წლებში ინდონეზიამ დიდი რყევები გადაიტანა – აზიის ფინანსური კრიზისი, სუჰარტოს 32-წლიანი რეჟიმის დასრულება, აღმოსავლეთ ტიმორის დაკარგვა, ისლამისტი ექსტრემისტების გააქტიურება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

პარასკევი
1 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" **17.00** დ/ფ ეგვიპტიდან" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "შეხვედრები მცხეთაში" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.20** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) **23.15** მხ/ფ "**ჩრდილოეთის ქვეყანა**" (შ.ტერონი)

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30, 21.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40** იმედის გმირები **15.15** რომ გადახვალ, გაიჩერე (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" (გ/ჩ) **01.00** მხ/ფ "**უკვდავი კალასი**" (ჯ.აირონსი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ქალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** მხ/ფ "**ბრაფი მონტე-კრისტო**" **4** სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "უბისა" **11.00** "ზღვარზე" გად. III **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მზე შემოდგომისა**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავეიანი მამულიდან**" **5** სერ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი -გია ყანჩელი **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დოკ/ფ "ფთილა" **19.40** მხ/ფ "**რეკორდი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**რაც ოთარი წავიდა**"

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი** "**რთული გზა**". **12.40** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **14.30** გადაცემა "პულსი (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6707
- ევრო — 2,2985
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6835
- 100 რუსული რუბლი — 5,211

ამინდის პროგნოზი 1 ნოემბრისთვის

მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

წარმატებული მეცნიერი მაგალი საჯაია კიბოს წამლის აღმოჩენის ზღურბლზე დგას, მაგრამ მოულოდნელად თავს იკლავს. გამომძიებელ ჯუანშერ მიგრიაულს თვითმკვლელობის არ სჯერა, მაგრამ მკვლელობის დამამტკიცებელი სამხილები არ ჩანს.

ცოტა ხნის შემდეგ ძარცვავენ ზურაბ ხიდურელის ბინას. ზურაბ ხიდურელი იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, რომელშიც მაგალი საჯაია მუშაობდა.



რამდენიმე დანაშაული ერთმანეთში იხლართება. ჯუანშერ მიგრიაული დარწმუნებულია, რომ მათ შორის კავშირი არსებობს, მაგრამ ამ დროს თავად გამომძიებელს უცნობი პირები იტაცებენ.

ვითარება კრიტიკული ხდება...

უკვე გამოსულია

ტომი 1 ..... **მგლის ბილიკი**

ტომი 2 ..... **შავი ვარდი**

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

ASTROPROGNOZI
1 ნოემბრისთვის

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემა არ განუხებთ. **კურო** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე იშოვით. **ტყუპები** – თავს მიხედეთ, სხვები მოიცდიან. **კირჩხიბი** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება თქვენზეა. **ლომი** – თქვენს ცხოვრებაში დიდი წინსვლაა. **ქალწული** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** – ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია მოინდომოთ. **ღრიანკალი** – სახლში დიდი სიხარული და ცვლილება გელოდებათ. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ. **თხის რქა** – არ გადაიღალოთ, საქმე მშვიდად აკეთეთ. **ვერცხლი** – დაზოგეთ ენერგია, ყველაფერს თქვენს თავზე ნუ აიღებთ. **თევზები** – ჯერ კარგად დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ა

შვეულად: 1. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 2. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 3. ცნობილი ამერიკელი პედიატრი; 5. უკრაინული ლუდი; 6. მეტყველების ნაკლის მკურნალი სპეციალისტი; 9. ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება; 10. აეროპორტი ქუთაისის მახლობლად; 11. ზამთრის ერთ-ერთი თვე; 14. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 16. შამფურზე მწვადად ასაგები ხორცის ნაჭრები; 18. ყურძნის არაყი.

თარაზულად: 1. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი კინორეჟისორი; 4. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 7. შტატი აშშ-ში; 8. საქართველოს ეროვნული გმირი; 12. მწერის განვითარების ბოლო სტადია; 13. კომბინაცია პრეფერანსში; 15. საფრანგეთის სამძებრო პოლიცია; 17. თემურ ბაბლუანის მხატვრული ფილმი; 19. მწვავე ტკივილის შეტევა გულის არეში; 20. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 21. სამონასტრო კომპლექსი მესხეთში, სამცხის მთავართა რეზიდენცია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



კახი კავსაძე ახალ ფილმში გადაიღეს

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრის მსახიობი კახი კავსაძე ახალ ფილმში გადაიღეს. „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ — ასე ჰქვია რეჟისორის გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილის ახალი ფილმს, რომლის პრემიერაც კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართა.



ფილმის რეჟისორის გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილის თქმით, ფილმის ჩვენება უკვე შედგა ლონდონში და მას ქართული დიასპორა დაესწრო. ლონდონური ფილმის პრემიერის შემდეგ კი რეჟისორის ნამუშევრის შეფასება უკვე ქართველმა მაყურებელმაც შეძლო.

– თავდაპირველად ფილმი ხანდაზმული მეძავის სცენებით იწყებოდა, რომელიც ცირკთან „მუშაობდა, შემდეგ კი სცენარი გადაკეთდა, მოხდა ფილმის გადამონტაჟება და ფილმის ახალ ვარიანტში გამოჩნდნენ ხანდაზმული მეძავები. მათთან ერთად ფილმში მონაწილეობს ცირკის ჯამბაზი, რომელიც 100 წლისაა, – ამბობს რეჟისორი.

მისივე თქმით, ფილმი მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრისაა და ცირკში და ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს ასახავს. ფილმში სულ სამი მთავარი როლია და ერთ-ერთს სწორედ კახი კავსაძე ასრულებს.

გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილის ფილმის გარდა, კახი კავსაძემ მონაწილეობა მიიღო სკანდალური რეჟისორის შოთიკო კალანდაძის ფილმშიც. პირველი ფილმისგან განსხვავებით, მეორე ფილმის პრემიერა ჯერ არ გამართულა. „ძვირფასი ცოლი“ – ასე ჰქვია შოთიკო კალანდაძის ფილმს, რომლის პრემიერაც ნოემბრის ბოლოს არის დაგეგმილი.

ფილმში მოხუცი ცოლ-ქმრის ურთიერთობაა ასახული. კახი კავსაძესთან ერთად შოთიკო კალანდაძის ნამუშევარში მსახიობი მზია მაღლაკელიძე მონაწილეობს, რომელიც მომღერალ ნუცა შანშიაშვილის დედაა. რეჟისორი არ მალავს, რომ ეს ფილმი მისი ახალი პროექტის „კინოლექსის“ ნაწილია. შოთიკო კალანდაძე ამით არ ასრულებს მუშაობას ნუცა შანშიაშვილის ოჯახთან, რეჟისორის მორიგი ფილმი კვლავაც მხატვრული ჟანრის იქნება და მასში მონაწილეობას ნუცა შანშიაშვილი მიიღებს. შოთიკო კალანდაძე სრულმეტრაჟიან ფილმზეც მუშაობს, რომელშიც ნანი ბრეგვაძე, ლიკა ქავჟარაძე და მარინა კახიანი არიან დაკავებული. ფილმი ორ კონკრეტულ ქართველ მხატვარს ეხება. რეჟისორის ნამუშევარში აქცენტი ედმუნდ კალანდაძესა და ზურაბ ნიჟარაძეზე გაკეთდება.

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების რეიტინგში ვლადიმერ პუტინი პირველ ადგილს იკავებს

„ფორბსის“ რეიტინგში მეორე ადგილზე აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამაა. წინა წელს ობამა სათავეში, ხოლო მეორე ადგილზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელი სი ძინპინი იყო.

„ვინ არის უფრო ძლიერი – ჟანგმოდებულ, თუმცა ჯერ კიდევ „უტიფარი“ ზესახელმწიფოს ყოვლისშემძლე მეთაური თუ მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქვეყნის ხელებშეკრული ლიდერი?“ – კითხვას სვამენ ნუსხის ავტორები, გულისხმობენ რა რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებს, – წერს „ბიბი-სი“.

ჟურნალი ასევე აღნიშნავს, რომ პუტინმა მხოლოდ ახლა გაამყარა თავისი კონტროლი რუსეთზე და ამიტომაც სიტყვა „დიქტატორის“ გამოყენება მის მიმართ არცთუ გასაკვირია.

„ამასთან, ობამა კონგრესში არსებული კრიზისის ფონზე სულ უფრო ჰგავს „კოჭლ იხვს“, – წერს „Forbes“-ი.

ჟურნალ „ფორბსის“ ექსპერტებს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების რეიტინგის სათავეში აყვანა, შეეძლოთ სირიის საკითხის დარეგულირებაში მისი როლის გამო, – თვლის ჟურნალ „ფორბსის“ შეფრედაქტორი მაიკლ ნორი.

„არ შემიძლია, ზუსტად ვთქვა, რატომ გახდა მაინცდამაინც პუტინი პირველი, მაგრამ, შემიძლია ვივარაუდო, რომ გადაწყვეტილება აშშ-ის საბიუჯეტო კრიზისის გამწვავებისას მიიღებოდა, შათდაუნის დროს, როდესაც ბარაკ ობამამ სისუსტე გამოიჩინა. ამას გარდა, აშშ-ის პრეზიდენტმა ვერ გამოიჩინა ინიციატივა, როდესაც მსოფლიოში ამერიკული დაზვერვის ირგვლივ სკანდალი აგორდა, მაშინ როდესაც ვლადიმერ პუტინი საერთაშორისო არენაზე მტკიცედ მოქმედებდა. მან წელს სირიის საკითხის დარეგულირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ შეაჩერეს ექსპერტებმა თავიანთი არჩევანი რუსეთის პრეზიდენტზე“, – აღნიშნა მაიკლ ნორმა „რასია 24“-ის ეთერში.

„სულ შევაფასეთ 150 კანდიდატურა ოთხი ძირითადი კრიტერიუმით – უპირველესად ყოვლისა, ფინანსური რესურსები, რომელსაც ლიდერები ფლობენ, მეორე, ჩვენ ვითვალისწინებდით, თუ რამდენად აქტიურად იყენებდნენ თავიანთ გავლენას გასულ წელს და რა სფეროებზე ვრცელდებოდა ის“, – აღნიშნა ექსპერტმა.

სულ რეიტინგში მსოფლიოს 72 პოლიტიკოსი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწეა. მესამე ადგილზეა ჩინეთის ლიდერი სი ძინპინი, მეოთხეზე – რომის პაპი ფრანცისკო, მეხუთეზე კი – გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი.

პუტინთან ერთად სიაში რუსეთს „როსნეფტის“ პრეზიდენტი იგორ სეჩინი (მე-60 ადგილი), პრემიერ-მინისტრი დმიტრი მედვედევი (53-ე ადგილი) და ბიზნესმენი ალიშერ უსმანოვი (63-ე ადგილი) იკავებენ.

1 ოქტომბერს რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატები და საზოგადო მოღვაწეები გამოვიდნენ პრეზიდენტ პუტინის ნობელის მშვიდობის პრემიაზე წარდგენის წინადადებით. ინიციატივის ერთ-ერთმა ავტორმა იოსებ კობზონმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელი არ დაიწყებს ამ წინადადების კომენტირებას, რადგან „ძალიან თავმდაბალია“, – იუწყება „რია.რუ“.

გავლენიან ადამიანთა „ფორბსის“ ათეული ასე გამოიყურება:

1. ვლადიმერ პუტინი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი;
2. ბარაკ ობამა, აშშ-ის პრეზიდენტი;
3. ქსი ძინპინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეთაური;
4. ფრანცისკ პირველი, რომის პაპი;
5. ანგელა მერკელი, გერმანიის ფედერალური კანცლერი;
6. ბილ გეითსი, კომპანია მაიკროსოფტის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე;
7. ბენ ბერნანკე, აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი;
8. აბდალა ბენ აბდელ აზიზ ალ-საუდი, საუდის არაბეთის მეფე;
9. მარიო დრაგი, ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი;
10. მაიკლ დიუკი, „უოლ-მარტის“ გენერალური დირექტორი.

გ. მ.

ზვიად სიჭინავა: „უეფაში სამი სერიოზული პროექტი დავგეგმეთ“

უეფაში მორიგ სამუშაო შეხვედრებსა და კომიტეტის სხდომაზე იმყოფებოდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე.

ზვიად სიჭინავა:

– ეს იყო სოციალური ვალდებულებისა და „ფეარე პლეის“ კომიტეტის მორიგი სხდომა და ამის გარდა, ჩვენ გვქონდა სამუშაო შეხვედრები უეფას მაღალ ეშელონებში. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ იმ ოთხი წლის განმავლობაში, რაც მე ფედერაციაში ვმუშაობ, ეს იყო ყველაზე ნაყოფიერი ვიზიტი და შეხვედრები. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ გაგვიჩნდა საქართველოში სამი ძალიან მაგარი პროექტის განხორციელების დიდი შანსი. ეს თემა უკვე დაიძრა და როგორც გითხარით, ძალიან სერიოზული პროექტებია. ამ ყველაფერს, უახლოეს დღეებში ჩვენ გავივლით სპორტის სამინისტროსთან და ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან, პროექტების მასშტაბურობიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფოს ჩართულობა. მოკლედ, ეს ყველაფერი დაეფუძნება სამკუთხედის პრინციპს – უეფა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და სახელმწიფო. როცა ჩვენ აქ ამ ყველაფერს გავივლით, მერე კვლავ გვექნება უეფაში შეხვედრები, რომ ვუთხრათ, მზადაა თუ არა ჩვენი ქვეყანა განახორციელოს ასეთი გრანდიოზული პროექტები. ახლა მეტის თქმა არ მინდა და არც შეიძლება. როცა გვეცოდინება, რომ ყველანაირად მზად ვართ და სახელმწიფოსგან და უეფასგან სრული მხარდაჭერა გვაქვს, მაშინ ყველაფერზე ღიად ვისაუბრებთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ვთვლი, რომ დღეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაუმტკიცა ევროპის საფეხბურთო ოჯახს და უეფას, რომ დიდი გამოწვევებისთვის მზად ვართ. ჩვენი ფედერაციისთვის ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა.

მ. ჟ.